

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

თბილისი, დეკემბერი, 2016

№21

*ახალი ამბები*  
საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016

*ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები*  
ენო კოჩო

*ქართული სიმღერის მოამბეები*  
აკეთლების ღიღინი – ხუხუნაიშვილები

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*  
ირლანდიურ-ქართული ანსამბლი „ზურმუხტი“

*ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი*  
„მჭელი“

*უცხოური ფოლკლორული ანსამბლი*  
„სვეტლანა სპაიჩის ჯგუფი“ სერბეთიდან

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*  
მეთიუ ნაითი

*ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ*  
ჭიანური

*უცხოური მუსიკალური ფოლკლორი*  
ნურისტანის ვოკალური მრავალხმიანობა

*ერთი ჟანრის შესახებ*  
ამინდის მართვასთან დაკავშირებული ტრადიციები  
და მუსიკა საქართველოში

სიმღერა „გონჯა“

*ახალი ამბები*

**საქართველოს  
ეთნომუსიკალური  
ცხოვრება**

(ივლისი-დეკემბერი, 2016)

*ფესტივალები, კონფერენციები, სემინარები*

**27-29.06.2016** – რუსთაველის თეატრში გაიმართა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016-ის დასკვნითი ტური.

**6.06-10.09.2016** – Check in Georgia-ს ფარგლებში ჩატარებულ ფესტივალზე „პიტ ბათუმი 2016“ საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრმა ბათუმის ბულვარის კოლონადებთან ფოლკლორული დღეები მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა მთელი საქართველოს მასშტაბით.

**10-17.07.2016** – თბილისის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უმასპინძლა ტრადიციულ ფერტივალს არტ-გენი 2016, რომლის ფარგლებში გაიმართა თბილისური და რეგიონული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები.

**24-25.07.2016** – ქ. ოზურგეთში გაიმართა წმ. ფილიმონ ქორიძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ფილიმონობა 2016“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე თბილისიდან მიწვეულმა მომღერალთა და მგალობელთა გუნდებმა.

**1-3.09.2016** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და Black see arena-მ ოზურგეთსა და შეკვეთილში ჩაატარა შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ქართველების გარდა მონაწილეობა მიიღეს იტალიურმა, შვეიცარიულმა და თურქულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**26-30.09.2016** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალ-

ხმიანობის მერვე საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა.

**4-5.11.2016** – ქ. ბათუმში გაიმართა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალი.

*ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.*

**13.07.2016** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „იალონის“ ახალი CD და DVD ალბომების პრეზენტაცია მოეწყო.

**9.11.2016** – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ლიტერატორისა და მთარგმნელის, ენათმეცნიერისა და ესეისტის, ქეთევან ჯერვალიძის საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული მისამღერები: „ო, დელა, აბა, დელი, დელი, დელა, „ოდილა-ოდილა“, „ორანინა-რანუნი“.

**16.12.2016** – TBC გაღერვაში გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლ „შავენაბადას“ სოლო კონცერტი და დისკის პრეზენტაცია.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული ღონისძიებები:

**30.09.2016** – ბიზანტიური მუსიკის ცნობილი ბერძენი სპეციალისტის, აქილეს ქალდეაკისის ლექცია თემაზე: „ბიზანტიური საგალობელი – როგორ ყალიბდება ტრადიცია“.

**1.10.2016** – მელბურნის უნივერსიტეტის მკვლევრის, ცნობილი ეთნომუსიკოლოგის, იოსებ ჟორდანიას ლექცია თემაზე „ტრადიციული მრავალხმიანობის ფენომენი“.

**28.10.2016** – სვანი ეთნოფორის, ცნობილი ლოტბარისა და შემსრულებლის, ისლამ ფილფანის მასტერკლასი.

**31.10.2016** – კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის ფოლკლორის განყოფილების სტუდენტის, უკრაინულ ხალხ-

ურ საკრავ ბანდურაზე შემსრულებლის, ვასილ უოვაკინის მასტერკლასი.

**15.11.2016** – შეხვედრა ეთნომუსიკოლოგიის დოქტორებთან – ნინო კალანდაძე-მასხარაძესთან და დავით შუღლიაშვილთან. შეხვედრა ეძღვნებოდა ქართული ტრადიციული მუსიკის ნოტირების საკითხებს.

**22.12.2016** – შეხვედრა აშშ-ში მოღვაწე წარმატებულ ქართველ პიანისტსა და კომპოზიტორთან, გიორგი მიქაძესთან.

### *ექსპედიციები*

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტმა, გიორგი კრავეიშვილმა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიციები შემდეგ რეგიონებში:

**6-7.08.2016** – კლარჯეთში, კერძოდ, მურღულის რაიონის სოფელ გუელიში, ართვინის რაიონის სოფლებში ქართლასა და ომანაში, ბორჩხის რაიონის სოფლებში – არხვასა და ტრაპენში;

**24.12.2016** – ღაზეთში, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში.

### *გასტროლები*

**14-17.07.2016** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ლიტვის ქალაქ კლაიპედაში გამართულ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში Parbeg Laivelis.

**30.08-4.09.2016** – ანსამბლი „ადილეი“ საგასტროლოდ მიწვეული იყო იტალიის რამდენიმე ქალაქში (კალიარი, პრემანა, სუელიო), სადაც მონაწილეობა მიიღო სასულიერო მუსიკისა და ქართულ-იტალიური ტრადიციული მუსიკის კონცერტებში.

**19-27.08.2017** – ანსამბლი „სახიობა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო ფესტივალში: Song of Our Roots ქალაქ იაროსლავში და Retrospektywy 2016 ქალაქ ლოძში.

**24.09-10.10.2016** – ანსამბლმა „ადილეი“ გერმანიის რამდენიმე ქალაქში (ჰამბურგი, ბად ბოდენთეიხი, კიოლნი, მიუნხენი) კონცერტები და მასტერკლასები გამართა.

**27.09-6.10.2016** – სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში.

**1-5.09.2016** – ანსამბლი სახიობა საგასტროლოდ იმყოფებოდა იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე.

**15.10-4.11.2016** – სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის ფარგლებში ანსამბლმა „იალონმა“ სოლო კონცერტები და მასტერკლასები ჩაატარა ადგილობრივი გუნდებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში:

ივლისი – სამეგრელო (ზუგდიდი)

ავვისტო – აჭარა (შუახევი)

სექტემბერი – სვანეთი (მესტია)

ოქტომბერი – კახეთი (თელავი)

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში:

**1-4.06.2016** – უელსში ვოის კარდიფის მუსიკალურ ფესტივალზე;

**7.06.2016** – ლიტვაში (ვილნიუსი) საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გამართულ საზეიმო მიღებაზე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლისთავს მიეძღვნა. გარდა ფოლკლორული კონცერტისა, მოეწყო ქართული სამზარეულოსა და ღვინის დეგუსტაცია, ქართული ნაწარმის გამოფენა;

**4-10.07.2016** – სახას რესპუბლიკაში (იაკუტია) გამართულ III საერთაშორისო ფესტივალზე „იუნესკოს შედეგების შეხვედრა ოლონხოს მიწაზე“ ანსამბლი „რუსთავი“ განსაკუთრებული სტატუსით იყო მიწვეული;

**25.10-12.11.2016** – ტაივანის რამდენიმე ქალაქში (თაიპეი, ნანტოუ, კაოჰსიუნგი, მია-


ოლი, ტაოიუანი), სადაც „რუსთავს“ ანსამბლმა „ქლაუდ გეითმა“ უმასპინძლა.

### გამოცემები


ანსამბლმა „შაენაბადაშ“ რიგით IX აუდიო-ალბომი გამოუშვა.



საქველმოქმედო ფონდმა „ქართული გალობა“ გამოსცა ღვაწლმოსილი ლოტბარის, რაჭულ სიმღერის მოამაგის, როსტომ გოგოლაძის მონოგრაფია.



ანსამბლმა „იალონმა“ გამოსცა საკონცერტო ჩანაწერის CD და DVD.



ანსამბლმა „ადილეიმ“ პირველი აუდიო-ალბომი გამოუშვა.



### კონცერტები და საღამოები

**03.07.2016** – ფოლკ-ბარში „ზოესთან“ ანსამბლმა „ნანინამ“ გამართა სოლო კონცერტი სახელწოდებით „ნანინას დიდი ოჯახი“, რომლის ფარგლებში მოეწყო ანსამბლის ახალი აუდიოალბომის პრეზენტაცია.

**9.07.2016** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის ღია გამოსაშვები გამოცდა-კონცერტი.

**13.08.2016** – ანსამბლმა „ადილემ“ სოლო კონცერტი გამართა ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირში.

**25.10-5.12.2016** – სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ რეგიონული ტურნეს ფარგლებში ჩაატარა სოლო კონცერტები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ყვარელი, გორი, ბოლნისი, ფოთი)

**21.11.2016** – ანსამბლმა „იალონმა“ სოლო კონცერტი გამართა ქ. ბოლნისში.

**13.11.2016** – სანქტ-პეტერბურგში, ერმიტაჟის თეატრში გაიმართა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „დიდგორმა“

**13.11.2016** – ფოლკ-ბარში „ზოესთან“ ანსამბლმა „იალონმა“ სოლო კონცერტი გამართა.

**6.12.2016** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ანსამბლ „იალონის“ სოლო კონცერტი სახელწოდებით „დაბადებიდან გარდაცვალებამდე“. პარალელურად დარბაზის ფოიეში მოეწყო ლევან ვაზნარელის ფოტო გამოფენის პრეზენტაცია, რომელიც ანსამბლის რეგიონული პროექტის ფრაგმენტებს ასახავს.

**9.12.2016** – ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ფოლკლორული კონცერტი ქალთა ფოლკლორული ანსამბლ „ნანინასა“ და მგალობელ-მომღერალთა გუნდ „დიდგორის“ მონაწილეობით.

**10.12.2016** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა მომღერლისა და ლოტბარის, ზვიად ბერიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა და მგალობელთა გუნდებმა.

**19.12.2016** – მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა ფოლკლორული სტუდია „ამერ-იმერის“ სპექტაკლი „ჭკუეთობა ღამე“.

**20.12.2016** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა

ანსამბლ „ადილეს“ პირველი სოლო კონცერტი და დისკის პრეზენტაცია.

**27.12.2016** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ტრადიციული „ალილო-ობა“ გაიმართა.

*მოამზადა მაკა ხარბიანმა*

## ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა წელს მერვე სიმპოზიუმს უმასპინძლა. ამჯერად სამეცნიერო ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და, ტრადიციულად, საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით ჩატარდა. აღსანიშნავი ფაქტია, რომ ამ სიმპოზიუმში მეცნიერთა რეკორდული რაოდენობა მონაწილეობდა: ოთხი დღის მანძილზე მოისმნეს მსოფლიოს 22 ქვეყნის 44 მეცნიერის მოხსენება. ეს ფაქტი მრავალხმიანობის კვლევისადმი მზარდი ინტერესის უდავო დადასტურებაა.



სამეცნიერო სესია

სხვადასხვა წლებში სიმპოზიუმებზე წარმოდგენილი იყო მსოფლიო მრავალხმიანობის უნიკალური კულტურები, როგო-

რებიცაა აინების (იაპონია), ამერიკელი ინდიელების, ლიტვური, აფრიკული, ტიბეტური, კორსიკული, ავსტრიული, ტაივანური და სხვ., რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართველი ეთნომუსიკოლოგების თვალსაწიერი და ცოდნა მსოფლიო მრავალხმიანობის კერების შესახებ. ამ სამეცნიერო ფორუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მკვლევრებისთვისაც, რომელთაც საშუალება ეძლევათ, პირადად გაეცნონ უცხოური ეთნომუსიკოლოგიური სკოლების წარმომადგენლებს, კვლევის თანამედროვე მიდგომებსა თუ მეთოდებს, რაც მათთვის მომავალი სამეცნიერო საქმიანობის გარკვეული იმპულსიც ხდება. წელს ასეთი 8 ახალგაზრდა მეცნიერი გეყავდა, 4 – ქართველი, 4 – უცხოელი.



სიმპოზიუმის გახსნის კონცერტი

წინა წლების მსგავსად, წლებანდელი სიმპოზიუმიც თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სესიები მიემდგვნა მრავალხმიანობის ზოგად თეორიასა და მუსიკალურ-ესთეტიკურ ასპექტებს, მრავალხმიანობის გენეზისს, ტრადიციული პოლიფონიის რეგიონულ სტილებსა და მუსიკალურ ენას, მრავალხმიანობას საკრავიერ თუ სასულიერო მუსიკაში, შემსრულებლობასა და ტრადიციების გადაცემას, ისტორიულ ჩანაწერებს და ა.შ.

სიმპოზიუმის სესიების ბოლოს, ტრადიციულ „მრგვალ მაგიდასთან“, რომლის წამყვანები იყვნენ იოსებ ჟორდანიას და დავით რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე, ფორუმის მონაწილეებმა ტრადიციული პოლიფონი-

ის ფორმების, სტრუქტურული ტიპებისა და კარტოგრაფიის შესახებ იმსჯელეს.

კონფერენციის ცალკე ბლოკი დაეთმო სასტენდო მოხსენებებს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდა ქართველმა და უცხოელმა მკვლევრებმა საკუთარი ნაშრომების მოკლე პრეზენტაციები გააკეთეს.

უკვე ტრადიციად იქცა თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორის წოდების მინიჭება სიმპოზიუმის უცვლელი მონაწილეებისათვის. წელს ეს პატივი ორ ღვაწლმოსილ მეცნიერს ხვდა წილად: დავით რაჩიუნაიტე-ვიჩინიენეს (ლიტვა) და სიუზან ციგლერს (გერმანია).

როგორც ყოველთვის, სიმპოზიუმის გამორჩეული მოვლენა იყო ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ გადაღებული ფილმების ჩვენება. წარმოდგენილი იყო სამი დოკუმენტური ფილმი: რენატო მორელის (იტალია) ორი ფილმი – „წმინდა ხმები“ (კონკორდუს ორი მომღერალი თაობა ვნების კვირაში) და „მრავალჯამიერი“ (მოგზაურობა სიმღერით სვანეთში ფილფანის ოჯახთან ერთად), და ჰუგო ზემპისა (საფრანგეთი) და ნონა ლომიძის (ავსტრია/საქართველო) ერთობლივი ფილმი „სუფრული სიმღერები კახეთში“.

სიმპოზიუმებს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ქართული და უცხოური ტრადიციული მუსიკის კონცერტებმა, რომლებიც წელს საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრში, რუსთაველის თეატრსა და კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა. თბილისურ და რეგიონულ ანსამბლებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს: მეღბურნის ქართულმა გუნდმა, ანსამბლებმა „გორანმა“ და „უცხო სუნელმა“ ავსტრალიიდან, „მარანმა“ საფრანგეთიდან და „კონკორდულუსურჯუზუმ“ იტალიიდან, რომელმაც სარდინიული მრავალხმიანობა წარმოგვიდგინა.

უცხოელი სტუმრებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო იყო აჭარის, გურიის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელოს, სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონული ანსამბლების კონცერტი, რომ-

ლის მონაწილეებმაც სცენაზე გააცოცხლეს სოფლის ტრადიციული ატმოსფერო და ქართული ფოლკლორის დიალექტური მრავალფეროვნება უცხოელებისთვის კიდევ უფრო ცხადად აღსაქმელი გახადეს.



ექსკურსია შიო მღვიმელის მონასტერში


განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარებული საოჯახო ანსამბლების კონცერტი. ზოგადად, საოჯახო მუზიციურების ტრადიციის დამსახურებაა ქართული მუსიკალური ფოლკლორის დაცვა და შენახვა, ამიტომ ცამეტი საოჯახო ანსამბლის გამოსვლამ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე მსმენელს დიდი სიხარული და იმედის განცდა მიანიჭა.

სიმპოზიუმის ერთი დღე, ტრადიციულად, კულტურულ პროგრამას დაეთმო. ტმკსც-მა სიმპოზიუმის მონაწილეებს ამჯერად განახლებულ ქალაქ მცხეთაში და იქვე მდებარე, შიო მღვიმელის მონასტერში მოუწყო ექსკურსია. საქართველოს უძველესი ისტორიული ქალაქის ღირსშესანიშნაობებისა და ერთ-ერთი ასურელი მამის მიერ VI საუკუნეში დაარსებული ტაძრის ხილვამ უცხოელ სტუმრებს კიდევ უფრო გაუღვივა ქართული ქრისტიანული კულტურისადმი მოწიწების გრძნობა. კულტურული დღე ტრადიციული ქართული სუფრით დასრულდა, რომელმაც სტუმრებისა და მასპინძლების მხიარული სიმღერის ფონზე ჩაიარა...

მაკა ხარძიანი  
ტმკსც-ის სპეციალისტი

## საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაატარა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016. ფესტივალი მოიცავდა: ხალხურ მუსიკას, ტრადიციულ საეკლესიო გალობას, ქორეოგრაფიას, ზეპირსიტყვიერებას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. მასში მონაწილეობდა საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფი.



საქართველოს ფოლკლორის ეროვნულმა ფესტივალმა მთელი საქართველო მოიცვა, მასში ჩართული იყო ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, რომელსაც მსგავსი ღონისძიებების ჩატარების 80 წლიანი გამოცდილება აქვს, წინასწარვე განსაზღვრა და ფესტივალის პოტენციურ მონაწილეებს დებულების სახით გაუგზავნა რეკომენდაციები. მონაწილეთათვის უმთავრესი მოთხოვნა და აუცილებელი პირობა ხალხურ პირველწყაროსთან სიახლოვე და საკუთარი რეგიონის ტრადიციების წარმომჩენა გახლდათ.

ფოლკლორის ეროვნულმა ფესტივალმა სტარტი 2015 წლის ივნისში თელავში აიღო. ამას მოჰყვა სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთ-

ის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, გურიისა და აჭარის I რეგიონული ტურები; ფესტივალის პირველი ეტაპი თბილისში, დედაქალაქის მონაწილეთა მოსმენით ნოემბრის თვეში დასრულდა. კონცერტების პარალელურად, მიმდინარეობდა სახალხო მოქმედების მოსმენა, ასევე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა გამოფენები. ფესტივალის II რეგიონული ტური 2016 წლის 6 აპრილიდან 24 მაისამდე გაგრძელდა. კონცერტები ჩატარდა თბილისში (კახეთის, ქვემო ქართლისა და თბილისის მონაწილეები), გორში (შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის მონაწილეები), ქუთაისსა (იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და აჭარის [ხელვაჩაური, ბათუმი, ქობულეთი] მონაწილეები) და ფოთში (სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, აჭარის [ხულო, შუახევი, ქედა] მონაწილეები).

დასკვნითი, ფინალური კონცერტები გაიმართა თბილისში 2016 წლის 6, 27, 28 და 29 ივნისს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

ფესტივალის ეიურიმ გამოავლინა 282 ლაურეატი. აქედან 76 ტრადიციულ მუსიკაში, 13 ქორეოგრაფიაში, 18 ზეპირსიტყვიერებაში, 175 სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ლაურეატთაგან შეირჩნენ საუკეთესონი, მათ გადაეცათ I, II და III ხარისხის დიპლომები და ფულადი პრემიები. დაჯილდოვდა 42 მონაწილე.

სიმღერასა და ქორეოგრაფიაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში: *ხალხური სიმღერის ანსამბლი, ავთენტიკური ჯგუფი, საოჯახო ანსამბლი, ხალხური სიმღერის ქალთა ანსამბლი, ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი, ქორეოგრაფიული ანსამბლი*; ზეპირსიტყვიერებაში ფულადი პრემიები გაიცა ნომინაციებში: *ავტორ-მოქმედი, კაფია, შემკრები, იუმორი, დებიუტი*; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები კი დაჯილდოვდნენ ნომინაციებში: *კერამიკა, აკადემიური ფერწერა, ნაივური ფერწერა, ტრადიციული საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მაკეტების ნაკუ-*

*ობათა ხის მხატვრული დამუშავება, მახუბების, ეკლესიათა კარის, საკარცხულების ხის მონუმენტური მხატვრული დამუშავება, ხის რელიეფური მხატვრული გაფორმება, ტრადიციული საბრძოლო იარაღი, მინიატურები და ხელნაწერები, ტრადიციული მხატვრული ქარგვა.*

საქართველოს ფოლკლორის ეროვნულმა ფესტივალმა, ქართული და საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის ხალხური შემოქმედების ნიმუშთა მოძიება-დაფიქსირებით, დღეს არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათი წარმოაჩინა. ამ თვალსაზრისით, მუსიკასა და ქორეოგრაფიაში ყველაზე მაღალი შედეგები საქართველოს ორმა რეგიონმა – სვანეთმა და აჭარამ გვიჩვენა. როგორც ჩანს, საქართველოს ამ ორ რეგიონში ფოლკლორულ ტრადიციებს დღემდე ყველაზე უკეთ ინარჩუნებენ. რაც შეეხება ხალხურ სიტყვიერებას, აქ აღმოსავლეთის მთამ ტოლი არავის დაუდო.

ფესტივალზე თვალშისაცემი იყო მომღერალ-მგალობელთა ახალგაზრდული ჯგუფების სიმრავლე და მათი შესრულების საკმაოდ მაღალი ხარისხი. ყველასათვის სასიამოვნო აღმოჩნდა იმ საოჯახო ანსამბლებიც ხილვაც, რომლებიც არ კარგავენ ხალხური სიმღერის თაობიდან თაობაზე გადაცემის ოჯახურ ტრადიციას. საინტერესოდ წარდგნენ მსმენელთა წინაშე და გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებიც.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის უმთავრესი მიზანი მასში მონაწილე ფოლკლორული ანსამბლების, საეკლესიო გუნდების, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია იყო. ფესტივალის დასრულების შემდეგ, მასში წარმატებით მონაწილე ანსამბლების უმრავლესობა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გადაწყვეტილებით მსმენელთა წინაშე წარდგა ბათუმში, Check in Georgia-ს ფარგლებში გამართულ ფესტივალზე – ჰიტ-ბათუმი 2016, აგრეთვე



ოზურგეთსა და შეკვეთილში – შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალზე და თბილისში, ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმზე.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატთა ბუკლეტი და გამოსაცემად ამზადებს DVD ალბომს – საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის 2015-2016.

**თონა რუხაძე**

*საქართველოს ფოლკლორის  
სახელმწიფო ცენტრის  
რეგიონული პროექტების  
სამსახურის კოორდინატორი*

**ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები**

**ენო კოჩო**



**ენო კოჩო**

*ჩვენი რუბრიკის სტუმარია ალბანეთის დამსახურებული დირიჟორი, ფილოსოფიის დოქტორი, ტირანას ხელოვნების აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ბალკანური მუსიკის მკვლევარი, ეთნომუსიკოლოგი ენო კოჩო, რომელიც წელს მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს მეორედ სტუმრობდა. ბატონი ენო ქართული ტრადიციული მუსიკის დიდი თაყვანისმცემელია. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მისი დამოკიდებულება ქართული მრავალხმიანობისადმი, რომელიც მეცნიერმა სიმპოზიუმის სესიების ბოლოს მოწყობილ „მრგვალ მაგიდასთან“ გამოხატა. მისი აზრით, ეს ისეთი უნიკალური ფენომენია, რომ polyphony ან multipart singing კი არ უნდა ვუწოდოთ, მსოფლიოს მრავალხმიანი მუსიკის მსგავსად, არამედ ქართული სახელწოდება „მრავალხმიანობა“ („mravalkhmianoba“) უნდა შევუნარჩუნოთ.*

ენო კოჩო დაიბადა ალბანეთის ქალაქ ტირანაში, მომღერალთა ოჯახში. მამამისი ბარიტონი იყო, ხოლო დედა – მსოფლიოში ცნობილი სოპრანო. ენო კოჩომ შეიღი წლის ასაკში ვიოლინოს შეს-

წავლა დაიწყო ჯერ ტირანაში, შემდეგ ლენინგრადში. 1966 წელს ენო კოჩო დაამთავრა კონსერვატორია ვიოლინოს სპეციალობით, ხოლო 1977 წელს – დირიჟორის სპეციალობით, რის შემდეგაც ის დანიშნეს ალბანეთის რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად (1977-1991). 1984 წელს მიენიჭა ალბანეთის დამსახურებული არტისტის წოდება, 1998 წელს – ლიდსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, ხოლო 2005 წელს გახდა ტირანას ხელოვნების აკადემიის ასოცირებული პროფესორი.



ენო კოჩო ერთ-ერთ სამეცნიერო შეხვედრაზე

ენო კოჩო 4 ათეული წელია დირიჟორობს სიმფონიური და ვოკალური ჟანრის ნაწარმოებებს სხვადასხვა ადგილობრივ ორკესტრთან და გუნდთან; ალბანეთის რადიოს სიმფონიური ორკესტრისა და ტირანას ოპერის თეატრის გარდა, მუდმივად თანამშრომლობს ისეთ მუსიკალურ ინსტიტუციებთან, როგორცაა: სკოპიეს ოპერის თეატრი, *გეორგ ენესკუს* ფილარმონია ბუქარესტში, ვროცლავის (პოლონეთი) მუსიკის აკადემია, კოსოვოს ფილარმონია და სხვა. ენო კოჩოს დირიჟორობით ალბანეთის რადიოტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრს 10 აუდიოალბომი აქვს ჩაწერილი.

გარდა სადირიჟორო მოღვაწეობისა, ენო კოჩო აქტიურ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა, მათ შორის, როგორც ეთნომუსიკოლოგი. არის რამდენიმე ინგლისურენოვანი წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორი, კითხულობს მოხსენებებს

ალბანურ მუსიკაზე ალბანეთის უნივერსიტეტებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების მუსიკალურ ინსტიტუტებში, კერძოდ, ლიმერიკში, ლიდსში, ლონდონში, სტრუგაში, ბოლონიაში, პალერმოში, კალიარისა და თბილისში; მონაწილეობს საერთაშორისო გამოცემებში მაგ. *ალბანური ენციკლოპედიური ლექსიკონი*, *ვინ არის ვინ მსოფლიოში* (კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი და ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი).

**შემოქმედებითი და აკადემიური კვალიფიკაციები:**

- 1984 – ალბანეთის დამსახურებული არტისტი (სადირიჟორო ჯილდო);
- 1998 – ფილოსოფიის დოქტორი (ლიდსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი);
- 2005 – ასოცირებული პროფესორი (ხელოვნების აკადემია, ტირანა, ალბანეთი).

**შემოქმედებითი თანამდებობები:**

- 1966-1972 – ტირანას ოპერის მევიოლინე;
- 1972-1978 – ტირანას მუსიკალური სკოლის დირიჟორი;
- 1977-1991 – ალბანეთის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი;
- 1992-2010 – ლიდსის უნივერსიტეტის ფილარმონიის ორკესტრის მთავარი დირიჟორი;
- 1993-1995 – იორკის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი;
- 1994-1997 – ჰაროგატის ფილარმონიის ორკესტრის დირიჟორი;
- 1994-2002 – იორკშირის ახალგაზრდული სადღესასწაულო ორკესტრის მთავარი დირიჟორი.

**პუბლიკაციები:**

**წიგნები ალბანურ ენაზე:**

- *ორკესტრობა*. ტრაქტატი საშუალო სკოლებისთვის, 1977, გვ.212
- *1930-იანი წლების ალბანეთის მუსიკალური ცხოვრება*, 2000, გვ. 256
- *1930-იანი წლების ალბანური ქალაქური ლირიკული სიმღერა*, 2002, გვ. 480
- *კორჩარე – განსხვავებული სიმღერა*, 2003,

გვ.120

- *შოსტაკოვიჩი და კადარე – სტატიები ალბანურ მუსიკალურ ხელოვნებაზე*, 2005, გვ.200
- *ოჯახი და ცხოვრება*, 2010, გვ.197
- *კრიტიკული გამოკვლევები*, 2010, გვ. 188
- *ცოცხალი ლეგენდა ტენორი ვაკო ჩაკო*, 2013, გვ.171
- *მოვზაურობა ვოკალურ ისო(ნ)ში*, 2014, გვ.450
- *რადიოს სიმფონიური ორკესტრი დღეს და გუშინ, რა იქნება ხვალ?* 2015, გვ.64
- *ატანას ტაშკო და ეგვიპტის ალბანური კოლონია*, 2015, გვ.556
- *ტეფტა ტაშკო კონო – მისი ოჯახი და თანამედროვეები ფოტოებში*, ალბომი, 2016, გვ.232.

**წიგნები ინგლისურ ენაზე:**

- *1930-იანი წლების ალბანური ქალაქური ლირიკული სიმღერა*, 2004;
- *ვოკალური ისო(ნ)ის მოვზაურობა*, 2015

**სტატიები ალბანურ ენაზე:**

- „ლირაშიკატარეს (ალბანური ლირა) სიმღერების შესახებ“. ალბანური ქალაქური სიმღერების პირველი კომპილაცია. 1999, № 1-2, გვ. 7
- „ალბანური მუსიკალური ტრადიციისა და სკანდერბეგისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებების შესახებ“. 2006/1, გვ.10)
- „სიმფონია „ორი ყვავილი სკანდერბეგის საფლავზე“. 2007, გვ. 10-20
- „ინიაკ ნდოიაი, ალბანური ეთნომუსიკოლოგიის წინამორბედი“, 2010/1, გვ 17.
- „ჩესკ ზადეია, კომპოზიტორი და მოაზროვნე“. 2010/3, გვ.7

**სტატიები ინგლისურ ენაზე:**

- „სიმღერების ერთი ოჯახი: ალბანური ქალაქური ლირიული მუსიკის ანარქული ხმელთაშუა ზღვის მუსიკაში“, 2005 გვ. 23.
- „ალბანური ქალაქური ლირიული მუსიკალური ტრადიცია“, 2001, გვ. 23
- „შოსტაკოვიჩი, კადარე და დისიდენტობის ბუნება“, 2005. გვ. 16
- „ალბანური ქალაქური ლირიული მუსიკის ანარქული“, 2006. გვ.20
- „ვოკალური ისო(ნ)ი“. 2008
- „ბიზანტიური ალბანეთი და ვოკალური ისო(ნ)ის საკითხი: არბერეშების სასულიერო და საერო მუსიკალური პრაქტიკის

უძველესი ტრადიციის დაცვა“. 2008/12, გვ.12

- „ვოკალური ისო(ნ)ი, სტუდია ალბანიკაში“. 2010, გვ.20
- „ვოკალური ისო(ნ)ი, დასავლეთ რომის იმპერიის წარსულის დათარიღება და ინტერპრეტაცია“. ნარკვევები ბრენდა დიკინსონის პატივსაცემად, 2012, გვ. 11
- „არბერეშების ისო(ნ)-ზე დაფუძნებული მრავალხმიანი უთანხლებო სიმღერის სტილები სამხრეთ ალბანეთში, ჩრდილოეთ ეპირუსსა და იტალიაში“, მრავალხმიანი მუსიკა, მუსიკალური აზროვნების, ექსპრესიული ქცევისა და ბგერის სპეციფიური ფორმა, 2012, გვ. 237-278
- „ისო(ნ)ი – სამხრეთ ალბანური მრავალხმიანი უთანხლებო სიმღერის და ბიზანტიური საგალობლის კომპონენტი“, 2013, თბილისი, გვ. 333-338.
- „ბიზანტიური საგალობელი, ისო(ნ)ი და არბერეშების ლიტურგიკული გალობა“.

*ტმესც-ის სახელით წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ ენოს და ვიმედოვნებთ, მომავალშიც გავრძელებს ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა.*

**ქართული სიმღერის მოამბეები**

**აკეთლების დიღინი – ხუხუნაიშვილები**

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლები ცხოვრობდნენ. ამ ლამაზ, მთავორიან სოფელში სიმღერის ცოდნა და სიყვარული თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ცნობილი მომღერლები ჰყავდათ ტყებუნავებს, ქანთარიებს, თოხაძეებს, ფიფაიშვილებს, კუკულავებს და სხვ. მაგრამ, განსაკუთრებით, ხუხუნაიშვილები გამოირჩეოდნენ. სწორედ აქ შეიქმნა ცნობილი ანსამბლი „შიდკაცა“, რომლის წევრთა უმრავლესობას ხუხუნაიშვილები შეადგენდნენ.

მთქმელ დიმიტრი იმედაიშვილის ცნობით, „იმ სოფელში იყო ხუხუნაიშვი-

ლები. ერთი იყო მოლექსე – თოფილა ხუხუნაიშვილი, დანარჩენი ოცდაათი იყო ყველა კრიმატულები, მთქმელები და ბასები სულშით“. ხუხუნაიშვილები ზემოაკეთის გარდა, ზომღეთში, ლანჩხუთში, ჩოჩხატსა და სხვა სოფლებშიც სახლობდნენ. ზომღეთელი ანზორ ხუხუნაიშვილის გადმოცემით, ამ სოფელში ხუხუნაიშვილების ათიდან ცხრა ოჯახი მომღერალი იყო. არსებობს ცნობა ხუხუნაიშვილების გვარის სვანური წარმომავლობის შესახებ, რომელიც უმგულელ მომღერალ ხუხუნა ნიჟარაძეს უკავშირდება.

**ანსამბლი „შიდკაცა“**

სამწუხაროდ, მწირი ცნობები მოგვეპოვება ანსამბლი „შიდკაცა“ მომღერლების შესახებ. აკეთში ბევრი მომღერალი ყოფილა, რომლებიც ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, თუმცა, საბოლოოდ ჩამოყალიბების დროს, (1912-13წ.წ) ანსამბლის წევრთა რაოდენობა შვიდი კაციით შემოიფარგლა. ესენი იყვნენ: კონსტანტინე (კოწია) ხუხუნაიშვილი, ალმასხან, ბესარიონ, იოსებ (ესოფი), რაჟდენ ხუხუნაიშვილები, სერაპიონ კუკულავა და ზაქარია ფიფაიშვილი.



აკეთელი მომღერლები: მარცხნიდან სხედან: სერაპიონ კუკულავა, კოწია და ალმასხან ხუხუნაიშვილები. დგანან: ზაქარია ფიფაიშვილი, რაჟდენ, ბესარიონ და ესოფი ხუხუნაიშვილები

კოწია ხუხუნაიშვილი (1872–1941 წ.წ) – ანსამბლის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, ლოტბარი, კრიმანტულ-გამყივანის საუკეთესო შემსრულებელი იყო. იგი მომღერლების ოჯახში გაიზარდა. მა-

მა, ესე ხუხუნაიშვილი თავისი დროის ცნობილი მომღერალი იყო. მღეროდნენ ძმებიც. კოწია ხელობით მეზუხრე იყო და ხშირად უწევდა სხვადასხვა სოფელში სიარული. ბუხრების კეთებასთან ერთად, იგი ეცნობოდა მეზობელი კუთხის მომღერლებს და სიმღერებსაც სწავლობდა მათგან. მან შემოიკრიბა ნიჭიერი თანასოფლელები და 1912-13 წლებში შექმნა ზემოაკეთის „შიდკაცა“. მეცადინეობები იმართებოდა ოჯახებში, რაც ხშირად ღვინით მთავრდებოდა ხოლმე.

კოწია მეგობრობდა და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა გურული სიმღერების ცნობილ შემსრულებლებთან: სამუელ ჩაველიშვილთან, ვარლამ სიმონიშვილთან, გიორგი ბაბილოძესთან, ერმალო სიხარულიძესთან, ვლადიმერ ბერძენიშვილთან, ძმებ ერქომაიშვილებთან, ილიკო მორჩილაძესთან, ნოე სარჯველაძესთან, ერმალო ორმოცაძესთან, ალექსანდრე მახარაძესთან, ეგვენი კოროშინაძესთან.

კოწია ძალზე არტისტული ბუნების კაცი ყოფილა. გარდა სიმღერისა, ჩონგურზეც ვირტუოზულად უკრავდა: თავისებური შესრულებითა და მიმიკით ასრულებდა საჩონგურო სიმღერას „ღიაკონმა უთხრა მღვდელსა“, რომლის გარვეულ მონაკვეთებში მარჯვენა ხელით პირჯვარს იწერდა და იმავედროულად, მარცხენა ხელით სიმებზე თითების დაჭერას და ამოკვრას ისე ახერხებდა, რომ ჩონგური სრულყოფილ უღერადობას არ კარგავდა. შესრულების ამ მანერით მისი შვილებიც უკრავდნენ, რომლებიც, ამავე დროს, სიმღერის კარგი შემსრულებლებიც იყვნენ. შთამომავლების გადმოცემით, კოწია თავადაც თხზავდა სიმღერებს და ჩონგურზე ამღერებდა. მას ერთი საოცარი უნარიც ჰქონია: აბსოლუტური სიზუსტით ახდენდა ფრინველთა გალობა-ტიკტიკის იმიტირებას.

კოწია ნადური სიმღერების მცოდნეც ყოფილა და ნადურის ლექსებსაც თხზავდა თურმე. იგი ხშირად ასწავლიდა სიმღერებს ახალგაზრდებს; ყველა ხმას

საუკეთესოდ ფლობდა და ამ ცოდნას მოწაფეებს უშურველად გადასცემდა.

ალმასხან ხუხუნაიშვილი (1885-1930 წ.წ.) – ანსამბლის კოლორიტი, კრიმანჭულ-გამყივანის უბანლო შემსრულებელი გახლდათ. იგი ხმის უსუფთავესი ინტონაციით და შესრულების განსაკუთრებული მანერით გამოირჩეოდა. ალმასხანი და კოწია ბიძაშვილები იყვნენ. სიმღერის ერთ მხარეს კრიმანჭულს კოწია იტყოდა, მეორე მხარეს – ალმასხანი. ორივეს შესრულების თავისი, განუმეორებელი მანერა ჰქონდა. შეუდარებელია ალმასხანის მიერ შესრულებული კრიმანჭული „ხასანბეგურაში“. ანზორ ერქომაიშვილის შეფასებით, „ამ სიმღერაში ალმასხანმა ამოწურა იმპროვიზაციის შესაძლებლობები, „გადაკისკისება“, „გადაკარკაცება“ ჩართო და ამით განუსაზღვრელი, უკიდევანო სივრცე მიანიჭა ნამღერს“. ჩვენთვის არ არის ცნობილი იყენებდა თუ არა ამ ხერხს სხვა სიმღერებში. ზაქარია ფალიაშვილმა აკეთში სტუმრობისას ალმასხანს თურმე იმდენჯერ გაამეორებინა ხასანბეგურაში მისი „კარკაცი“, რომ მომღერალს ხმა ჩაეხლინა.

ცნობილი მომღერალი, კრიმანჭულის დიდოსტატი მიხეილ შავიშვილი იღონებდა, რომ „ხასანბეგურაში“ ალმასხანის მიერ შესრულებული გადაკისკისება არავის გაუკეთებია და ვერც გააკეთებს, რადგან იგი ალმასხანისეულია.

სერაპიონ კუკულავა – შესანიშნავი მეორე ხმა, პროფესიით დურგალი ყოფილა. სამწუხაროდ, მის შესახებ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს. კუკულავები წამოშობით სოფელ ჩიბათიდან ყოფილან, საიდანაც წამოსულან და აკეთში დასახლებულან.

იოსებ (ესოფი) ხუხუნაიშვილი (1870-1961წ.წ.) – ზედა ხმების საუკეთესო შემსრულებელი იყო. მას სოფელში მშრომელი და კეთილი კაცის სახელი ჰქონდა. ესოფის ხუთივე შვილი მღეროდა. სიმღერის ნიჭით განსაკუთრებით პარმენი გამოირჩეოდა, რომელსაც ორჯერ გადასახლების და დაბრმავების მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე სიმღერა არ შეუ-

წყვიტია. პარმენის სიმღერა გადაიღო რეჟისორმა სოსო ჩხაიძემ ფილმში „შვიდკაცა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

ომის შემდგომ პერიოდში სოფლის ახალგაზრდები დადიოდნენ ესოფისთან სიმღერის შესასწავლად. ერთ-ერთი მისი მოწაფე, ვალენტი ხუხუნაიშვილი იგონებს: „ესოფი ჯერ მეორეს გვასწავლიდა, შემდეგ დანარჩენ ხმებს. მოგვცემდა ხმას და უნდა გაგვემეორებინა. ჯერ მარტივ ვარიანტს გვაჩვენებდა, შემდეგ ართულებდა. გვასწავლიდა იმპროვიზაციის გარეშე, რათა ათვისება გაეადვილებინა. როცა სიმღერა შეიკვრებოდა, დამთავრდებოდა, თვითონ აკეთებდა იმპროვიზაციას და ვისაც როგორი ნიჭი და უნარი ჰქონდა, ისე განავითარებდა“.

ანსამბლში ბანის სამი შემსრულებელი იყო, ბესარიონ და რაუდენ ხუხუნაიშვილები და ზაქრო ფიფაიშვილი. ორპირულ სიმღერებში ერთ მხარეს ბანს ბესარიონი იტყოდა, მეორე მხარეს კი – რაუდენი და ზაქარია.

რაუდენ ხუხუნაიშვილი (1879-1969 წ.წ.) – სიმღერის დიდი მოყვარული და დამფასებელი ყოფილა. იგი ესოფის ბიძაშვილი და მეზობელი იყო. მისი სიძე, დის ქმარი იყო ზაქარია ფიფაიშვილი – სიკეთის მკეთებელი და სიმღერის მოყვარული კაცი. სწორედ ზაქარიას დამსახურებაა აკეთლების ჩანაწერები რომ შემოგვრჩა. მას ხე-ტყის საწყობი ჰქონია თბილისში და შეძლებული კაცი ყოფილა. ზაქარიამ კავშირი გააბა გრამფირფიტების საზოგადოებასთან „ამურ-რიგა“ და 1913 წელს თავისი ხარჯით თბილისში ჩამოიყვანა ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრები, რომლებმაც სტუდიაში ოცი სასიმღერო ნიმუში ჩაწერეს.

ბესარიონ ხუხუნაიშვილი (1883-1942 წ.წ.) – ბანის ერთ-ერთი საუკეთესო და განუმეორებელი შემსრულებელი. ძლიერი ხმა, ვაჟკაცური ტემბრი, ფართო დიაპაზონი, იმპროვიზაციის საოცარი უნარი – ამ თვისებებით გამოირჩეოდა იგი ყველასაგან. კომპოზიტორ შალვა მშველიძის ინიციატივით, 30-იანი წლების დასაწყისში ლანჩხუთში ცნობილი მომღერლის,

ილიკო მორჩილაძის ოჯახში განთქმული მომღერლები შეკრებილან. მოწვეულთა შორის ბესარიონიც იყო. ბატონი შალვა აღტაცებული დარჩენილა ბესარიონის ნიჭით და ხშირად უამბობდა სტუდენტებს მის შესახებ.

ბესარიონი მთელ რაიონში ცნობილი თამადა ყოფილა, მას ყველგან იწვევდნენ და აფასებდნენ. ბანის ცნობილი გურული ოსტატების გვერდით, ღირსეული ადგილი ბესარიონ ხუხუნაიშვილსაც ეკუთვნის.

ანსამბლის წევრებს ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ერთმანეთის ნათესავები და მეგობრები იყვნენ, პატივი და დაფასება არ აკლდათ, მათ გარეშე სოფელში არც ერთი დღესასწაული არ ჩაივლიდა, ხშირად სოფლის გარეთაც იწვევდნენ. ისინი ე.წ. ხალხური პროფესიონალები იყვნენ. მათი შემოქმედება ადგილობრივ, აკეთურ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. ურთიერთობა ჰქონდათ იმდროინდელ ცნობილ მომღერლებთან, სწავლობდნენ მათგან, თავისებურად ამუშავებდნენ და სხვებსაც ასწავლიდნენ სიმღერებს. ანსამბლის ფონოჩანაწერების მოსმენისას მსმენელი აუცილებლად შენიშნავს შესრულების თავისებურ მანერას, რომელიც აკეთურია და არავისას ჰგავს.



აკეთელი ხუხუნაიშვილების შთამომავლები: ჯემალ, გიორგი და ნიკოლოზ ხუხუნაიშვილები

აკეთს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი მუსიკოსები. ძალზე საამაყო იყო კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სტუმრობა. 1909 წელს იგი ორჯერ სწვევია აკეთს და ფონოგრაფზე ჩაწერილი სიმღერები შემდგომში ხალხური სიმღერების კრებულშიც შეუტანია.

„შიდკაცას“ მოღვაწეობა 30-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა, თუმცა, არასრული შემადგენლობით ხშირად შემდეგაც გამოდიოდნენ ხოლმე; სოფელში მრავალი მიმღევარი, თაყვანისმცემელი და დამფასებელი ჰყავდათ.

სამწუხაროდ, აკეთლების სიმღერები, რომელებიც ხმის ჩამწერმა სტუდია „ამურ-რიგამ“ ჩაწერა 1913 წელს, ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა არქივებში გაიფანტა. მოგვიანებით, ანსამბლის ხელმძღვანელის, კოწია ხუხუნაიშვილის ვაჟის, დავითის ინიციატივითა და გულმოდგინებით, მოძიებული და აღდგენილი იქნა შემდეგი სიმღერები: „ხასანბეგურა“, „ადილეი“ ანუ „მგზავრული“, „დედოფლის სიმღერა“ ანუ „ვახტანგური“, „კალოს ხელხვავი“, „მაყრული“ ანუ „გორჯასპირული“, „ალიფაშა“, „აკეთლების ღიღინი“, „ფიქრის სიმღერა“, „სუფრის ხელხვავი“, „აიდა ოდელია“, „ყარანაი ყანაშია“, „ბეზია“, „ნანინა“, რომელებიც 1964 წელს გრამფირფიტის სახით გამოსცა ფირმა „მელოდიაში“.

1978 წ. მოსკოვში, ხოლო 1990 წ. ლონდონში ანხორ ერქომაიშვილმა მიაკვლია „შიდკაცას“ ფონოჩანაწერების დედნებს, რომელიც აღწერილია 2007 წელს გამოცემულ წიგნში – „ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში“. 2006 წელს გამოიცა ლევან ვეშაპიძის წიგნი და კომპაქტდისკი „გურული ხალხური სიმღერები“, რომელიც შეიცავს შიდკაცას სიმღერების სანოტო და აუდიო ვერსიებს. 2010 წელს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისა და ლანჩხუთის კულტურის ცენტრთან არსებული ხუხუნაიშვილების სახელობის საარქივო ფონდის მხარდაჭერით გამოიცა „შიდკაცას“ კომპაქტდისკი.

2004 წელს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის ინიციატივით გამოიცა სერია წიგნებისა „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“, რომლის პირველ გამოცემაში შედარებით სრულყოფილად არის განხილული აკეთლების „შვიდკაცას“ მოღვაწეობა.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ არაერთი თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლი ასრულებს ზემო აკეთელი მომღერებისგან დატოვებულ სიმღერებს.

**მარინა ხუხუნაიშვილი  
გიორგი ხუხუნაიშვილი**

### *ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*

### **ირლანდიურ-ქართული ანსამბლი „ზურმუხტი“**

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში 2011 წელს ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი ანსამბლი „ზურმუხტი“, რომლის წევრები წარმოშობით ირლანდიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და საქართველოდან არიან.



**ანსამბლ „ზურმუხტის“ ერთ-ერთი კონცერტი**

ჯგუფი შეიკრიბა მას შემდეგ, რაც დაესწრნენ ფრანკ კეინისა და ნანა მუხანაძის მიერ დუბლინში ჩატარებულ ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებს.

ლუიზ ბრენან-მორონი, ანსამბლის დამაარსებელი და ამჟამინდელი ხელმძღვანელი დაესწრო ორივე მასტერკლასს და პირველად შეიგრძნო ქართული ხალხური მუსიკის სიბლი. მისთვის ეს იყო „ერთი მოსმენით შეყვარება“. ლუისზე დიდი გავლენა მოახდინა, ასევე, ვიდეომ (რომელიც მან Youtube-ზე იპოვა), სადაც ისლამ ფილფანი ასწავლის „კვირიას“. ამ ვიდეომ გააღვივა მისი ინტერესი სვანური რეპერტუარისადმი, რომელიც მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ქართული ხალხური სიმღერა ჰქვია.

ოთხი თვის შემდეგ – 2011 წლის მაისში ლუისმა მოახერხა, დაკავშირებოდა ფრანკისა და ნანას მასტერკლასებზე დამსწრე სხვა ადამიანებს და შექმნა მომღერალთა გუნდი. ერთი წლის შემდეგ ჯგუფმა სახელის ძიება დაიწყო. ფრანკ კეინმა, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა და ხელს უწყობდა ანსამბლს, სახელი „ზურმუხტი“ შესთავაზა: ირლანდიელები ხომ თავის სამშობლოს ზურმუხტის კუნძულს უწოდებენ... თავიდან გაუჭირდათ ამ რთული უცხო სიტყვის წარმოთქმა, თუმცა, დროთა განმავლობაში ამ სიტყვის მნიშვნელობაც გაიაზრეს და მის წარმოთქმასაც მიეჩვივნენ. გასაკვირი არ არის, რომ „ზურმუხტის“ წევრები დღეს ამაყობენ თავისი სახელით.

2013 წელს ფრანკ კეინისა და მაია კაჭკაჭიშვილის დახმარებით, ჯგუფის რამდენიმე წევრი ბრიტანელ მეგობრებთან ერთად პირველად ესტუმრა საქართველოს. ისინი თბილისიდან სვანეთში, სოფელ ლენჯერში გაემგზავრნენ ისლამ და ვახტანგ ფილფანებისაგან სიმღერების შესასწავლად. ამ 10 საათიან მგზავრობას ჯგუფის წევრები დღემდე დიდი სიყვარულით იგონებენ: „მაია კაჭკაჭიშვილის დედამ, ქალბატონმა ნათელამ, საგზალი მოგვიმზადა. მგზავრობა ძალიან ემოციური იყო, ყველას ისეთი შეგრძნება გექონდა, თითქოს მექაში მივდიოდით“. ჯგუფს ყველაფერი მოეწონა სვანეთში: მასპინძელი ფილფანების ოჯახი, პედაგოგები ვახო და ისლამი, თარჯიმანი მაია

კატაკტიშივილი, სვანეთის ბუნება, სიმღერები, სამზარეულო, პაერი, ადგილობრივი ხასიათი, ისტორია და ა.შ. იმდენად დიდი გამოცდილება მიიღეს, რომ მომდევნო წელს ისევ დაბრუნდნენ ისლამთან სწავლის გასაგრძელებლად.

2014 წელს „ზურმუხტის“ პატარა ჯგუფმა ისევ იმოგზაურა სვანეთში; გზად ისინი ბესიკ ჭითანავას ესტუმრნენ ზუგდიდში, სადაც ჰქონდათ ბედნიერება, შეხვედროდნენ აწ გარდაცვლილ შესანიშნავ ლოტბარს პოლიკარპე ხუბულავას.

ანსამბლი „ზურმუხტი“ ხშირი მონაწილეა სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებისა. მათ შორის აღსანიშნავია: მონაწილეობა „ხუთი ფარნის ხელოვნების ფესტივალში“ „Singing Medicine“ და ფესტივალში „River Fest“, სადაც ისინი შეხვდნენ ანსამბლ „რუსთავს“, იმდერეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ ღონისძიებაზე დუბლინში და ჩაატარეს ალილოს საშობაო კონცერტები. ანსამბლი სიამოვნებით სარგებლობს არაოფიციალური გამოსვლების შესაძლებლობებით და უზიარებს სიმღერებს ქართული ხალხური რეპერტუარით დაინტერესებულ ადამიანებს.



ანსამბლი „ზურმუხტი“ სვანეთში, ფილფანების ოჯახში

ლუის ბრენან-მორონიმ საჯარო მასტერკლასების ჩასატარებლად ირლანდიაში მიიწვია პედაგოგები: ფრანკ კეინი,

მალხაზ ერქვანიძე, კარლ ლინიქი. „ზურმუხტის“ წევრები სიამოვნებით მასპინძლობენ ევროპელ მომღერლებს, რომლებიც მათთან ერთად სწავლობენ ქართულ სიმღერებს. ჯგუფი ძალიან აფასებს საქართველოს მოყვარულთა საერთაშორისო ოჯახის წევრობას. აღსანიშნავია „ზურმუხტის“ თანამშრომლობა საფრანგეთში მოღვაწე ანსამბლ „მარანის“ ხელმძღვანელთან – ტარიელ ვაჩაძესთან, რომელიც ექსკლუზიურად მათთან სამუშაოდ ჩავიდა ირლანდიაში. ამის შემდეგ მათ ჰქონდათ განსაკუთრებით ნაყოფიერი მასტერკლასები მალხაზ ერქვანიძესთან და ფრანკ კეინთან.

ჯგუფი ხშირად საუბრობს თავის მომავალზე საქართველოში; სურთ, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ჰქონდეთ სახლი, სადაც საკენსიო ასაკს გაატარებენ, ყოველ დღე ერთად იქნებიან, მიირთმევენ სანატრელ საკვებს და იმღერებენ. შესაძლოა, ეს ვინმესთვის გიჟურად უღერდეს, მაგრამ „ზურმუხტი“ ნამდვილად ისწრაფვის ამისკენ!

„ზურმუხტი“ იმედოვნებს, რომ მრავალი წლის განმავლობაში გააგრძელებს ქართული ხალხური რეპერტუარის შესწავლას!

ლუის ბრენან-მორონი



**ერთი ქართული ფოლკლორული  
ანსამბლი**

**„მჭელი“**

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მჭელი“ 2010 წელს ჩამოყალიბდა. მას ხელმძღვანელობენ მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ეთნომუსიკოლოგი ქეთევან ბაიაშვილი და ანსამბლ „მთიების“ პირველი თაობის სოლისტი გივი ქსოვრელი. „მჭელის“ მიზანია მივიწყებულ სიმღერებისა და სიმღერით თანხლებული რიტუალების აღდგენა. ანსამბლის რეპერტუარში ჯერ-ჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერებია. „მჭელის“ შემოქმედებითი პრინციპია ტრადიციებზე და ავთენტიკურ საშემსრულებლო მანერაზე სწორება, რითაც ის თავისი წინამორბედი ანსამბლების – „მთიებისა“ და „მზეთამზის“ გზის გამგრძელებელია.

„მჭელის“ მოღვაწეობაზე მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ქეთევან ბაიაშვილს ვავესაუბრეთ:

**ქ.ბ:** ანსამბლი „მჭელი“ ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმთან ჩამოვყალიბებთ. როდესაც დავიწყეთ ფიქრი ანსამბლის შექმნაზე, აუცილებელი იყო სამუზეუმო სპეციფიკის გათვალისწინება და ისეთი ანსამბლის ჩამოყალიბება, რომელიც თავისი საშემსრულებლო მიმართულებით უპასუხებდა მუზეუმის მოთხოვნებს. იმ პერიოდისათვის სასცენო შემსრულებლობაში უამრავი პრობლემა გამოიკვეთა. ანსამბლების უმეტესობას აქცენტი დასავლეთ საქართველოს სიმღერებზე ჰქონდა ადებული და თითქმის მივიწყებული იყო ქართლური და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების მუსიკალური ნიმუშები. გადავწყვიტეთ, რომ მუზეუმთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის მიზანი, სწორედ მივიწყებული და საზოგადოები-

სათვის დღემდე უცნობი ვარიანტების აღდგენა ყოფილიყო.



ანსამბლი „მჭელი“ და მისი ხელმძღვანელი ქეთევან ბაიაშვილი

**ს.კ:** როგორ შეარჩიეთ ანსამბლის წევრები? ვინ არიან ისინი და რას საქმიანობენ?

**ქ.ბ:** ანსამბლ „მჭელის“ წევრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. გვეყავს ექიმი, იურისტი, მსახიობი, ოპერატორი... რამდენიმე წევრი ლობთარ-რეგენტის პროფესიას ეუფლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, ანსამბლის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, შემადგენლობა არასტაბილური იყო. ჩვენთან მოსული, სიმღერის სწავლის მსურველი ახალგაზრდები, ძირითადად, სტანდარტულ ფოლკლორულ ანსამბლს ელოდნენ. ჩვენი მიმართულების გაცნობის შემდეგ, ბევრი მათგანი წავიდა. ვინც ანსამბლში დარჩა, მათაც მოუწიათ გარკვეული მოსამზადებელი ეტაპების გავლა. თავიდან ე.წ. პოპულარული სიმღერებით დავიწყეთ. შემდგომ ეტაპზე კი გადავვდით იმ რეპერტუარზე, რასაც დღეს „მჭელი“ ასრულებს. რა თქმა უნდა, ეს ბიჭები თანამედროვე ახალგაზრდები არიან; ჩვენ საკმაოდ ბევრი მუშაობა დაგვჭირდა საშემსრულებლო მანერის კუთხითაც. ყველაზე მთავარია, რომ თავად ბიჭებს გაცნობიერებული აქვთ იმ საქმის მიზანი

და მნიშვნელობა, რასაც ისინი ემსახურებიან.

**ს.კ:** რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი და რა წყაროებიდან სწავლობთ ნიმუშებს?

**ქ.ბ.** ანსამბლის რეპერტუარი ძირითადად ძველი ფონოჩანაწერებით საზრდოობს: ეს არის ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან აღდგენილი ნიმუშები, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივის ფონოჩანაწერები და ჩემი პირადი საექსპედიციო მასალა. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საინტერესო სიმღერის მხოლოდ ხანოტო ვარიანტი გაგვაჩნია, ვიყენებთ ნოტებსაც.



რეპეტიციის პროცესში

რა თქმა უნდა, ნოტებიდან სიმღერის შესწავლა ბევრად რთულია, ვიდრე – ფონოჩანაწერიდან. ძველ საექსპედიციო ჩანაწერებზე მუშაობისას მივაკვლიეთ ხალხური სიმღერების იმ შრეს, რომელიც, თანამედროვე შემსრულებელთა ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. მაგალითად, ასეთია თამარ მამალაძისა და შალვა მშველიძის მიერ ჩაწერილი კახური სიმღერების ერთი ნაწილი, რომელიც საშემსრულებლო მიმართულებით მკვეთრად განსხვავდება სხვა დანარჩენი კახური ნიმუშებისაგან. ჩვენს სიხარულს და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოვაჩინეთ ცნობილი კახური სიმღერების – „გუშინ შვიდნი გურჯანე-

ლნის“, „ბერიკაცის“ და შრომის სიმღერების სრულიად განსხვავებულ ვარიანტები. იგივე შეიძლება ითქვას მინდია ჟორდანიას მიერ ჩაწერილ თიანურ სიმღერებზეც. ჯერ-ჯერობით ჩვენს რეპერტუარში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებია. ვგეგმავთ, რომ საქართველოს ყველა კუთხე მოვიცვათ, თუმცა ამისათვის საშემსრულებლო მიმართულებით დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

**ს.კ:** როგორია სიმღერებზე მუშაობის პროცესი?

**ქ.ბ.** სიმღერების შესწავლა ყველაზე საინტერესო და შემოქმედებითი პროცესია. ეს ყველაფერი ერთობლივად ხდება. მე მომაქვს სიმღერის ფონოჩანაწერი, ბიჭები უსმენენ და შემდეგ უკვე ერთად ვიკვლევთ და ვშიფრავთ მას. მოგეხსენებათ, ძველი ჩანაწერის გაშიფვრა საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხანდახან გვიწევს შემოქმედებითი კამათი ამა თუ იმ საკითხზე. მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ ძველ ჩანაწერებში შემსრულებლები საკმაოდ მაღალ რეგისტრში მღერიან. ჩვენ ვცდილობთ, ეს სიმღერები სწორედ იმ რეგისტრში შევასრულოთ, როგორც ორიგინალშია. ბუნებრივია, თანამედროვე ადამიანისათვის ეს გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ანსამბლში დადგენილი ხმები არ არსებობს – ყველა ცდილობს ყველა ხმის მღერას. რეპეტიციის პროცესში გვაქვს ჩვენივე ნამღერის ჩაწერის პრაქტიკაც, რითაც ჩვენი შესრულების შეფასების შესაძლებლობა გვეძლევა.

**ს.კ:** რამდენად თავისუფალი ხართ საშემსრულებლო მანერის მხრივ?

**ქ.ბ.** საშემსრულებლო მანერას ჩვენ ყველაზე მეტ დროს ვუთმობთ. რა თქმა უნდა, სიმღერებს ძველი ჩანაწერებიდან ვსწავლობთ, მაგრამ მათ ზუსტ, ფოტოგრაფიულ კოპირებას არ ვახდენთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ანსამბლის წევრებს გათავისებული ჰქონდეთ ის ნიმუშები, რომელთაც ასრულებენ. ისინი არიან თანამედროვე ადამიანები, ინდივიდები, რო-

მლებიც თითქმის საუკუნით არიან დაშორებული ძველი შემსრულებლებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ შესრულებისას მათ საკუთარი ვარიანტები შექმნან. სხვა შემთხვევაში, აზრი ეკარგება ხალხური სიმღერების აღდგენის პროცესს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან რთულია. ჩვენ ბევრს ვმუშაობთ იმპროვიზაციის მიმართულებით. ანსამბლის პრაქტიკაში ხდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთსა და იმავე სიმღერას სხვადასხვა სოლისტები ასრულებენ. ასეთი ძიების პროცესში აღმოგვიჩენია, რომ ერთი ანსამბლის შიგნით, რომელიმე კონკრეტული სიმღერის შესრულებისას, განსხვავებული ვარიანტები წარმოიქმნება. ეს არის სწორედ იმ ერთობლივი, კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი, რაც ასე დამახასიათებელია ფოლკლორისათვის.

**ს.კ. რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევი და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

**ქ.ბ.** ანსამბლი „მჭელი“ საკმაოდ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩვენ პერიოდულად ვმონაწილეობთ მუხეუმის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში, ვატარებთ გასვლით ლექცია-კონცერტებს, ვაწყოთ ექსპედიციებს და სხვ. ვგეგმავთ სოლო კონცერტის ჩატარებასაც, თუმცა ეს არ გახლავთ ანსამბლის თვითმიზანი. მოგეხსენებათ, სცენას თავისი კანონები აქვს, შემსრულებელი კი ვალდებულია ამ კანონებს დაემორჩილოს. ჩვენთვის ბევრად სასიამოვნოა ჩვენი შემოქმედება მსმენელამდე სხვა გზებით მივიტანოთ. მაგალითად, ანსამბლის ერთ-ერთი მიზანია მივიწყებელი რიტუალების აღდგენა. ამ კუთხით ყოველწლიურად ვმონაწილეობთ „ალილოსა“ და „ჭონას“ რიტუალში. ბიჭებმა აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს „ლაშარობაში“, რაც ადგილობრივთათვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ვგეგმავთ, რომ ალვადგინოთ შრომის რიტუალიც, თუმცა ეს ბევრად რთული და შრომატევადი პროცესი იქნება. ვფიქრობთ, რომ მსმენელთან ამგვარი უშუალო კონტაქტი ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე აკადემიურ გარე-

მოში სიმღერა. ძალიან ბევრი ადამიანი ესწრება ჩვენს რეპეტიციებს. ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად ყველას გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება და გავაცნოთ ანსამბლის მუშაობის პრინციპები. სამომავლო გეგმები ბევრი გვაქვს, რაშიც ბიჭების მონდომებისა და ერთუზიაზმის დიდი იმედი მაქვს!

*ინტერვიუ ჩაიწერა სოფო კოტრიკაძემ*

*უცხოური ფოლკლორული ანსამბლი*

## „სვეტლანა სპაიჩის ჯგუფი“ სერბეთიდან

სვეტლანა სპაიჩის ჯგუფი *Пјевачка дружина Светлане Спајић* არის ქალთა აკაპელა ანსამბლი ბელგრადიდან, რომელიც ასრულებს ტრადიციულ სერბულ რეპერტუარს. სიტყვა *дружина* აღნიშნავს თავშეყრას, მეგობრების ერთობას. 2009 წელს სვეტლანა სპაიჩის მიერ შექმნილი ჯგუფის წევრები იყვნენ: მინია ნიკოლიჩი, დრაგანა ტომიჩი და ზორანა ბანტიჩი.



სვეტლანა სპაიჩის ჯგუფის კონცერტი ბელგრადის სტუდენტურ ქალაქში

ჯგუფის ხელმძღვანელი სვეტლანა სპაიჩი 25 წლის მანძილზე სწავლობდა სიმღერებს დალმატიის რეგიონის (დასავლეთ ბოსნია), ოზრენის მთიანი რეგიონის (ცენტრალური ბოსნია) და სლავონიის (დასავლეთ სერბეთი) სოფლების მომღერლებისაგან, რამაც მას საკმაოდ დიდი გამოცდილება შესძინა.

ჯგუფის რეპეტიციები იმართება სვეტლანას სახლში ბელგრადში. ეს არის სოფლელი მომღერლებისა და ტრადიციული სიმღერითა და, ზოგადად, ტრადიციული კულტურის სწავლით დაინტერესებული ახალგაზრდების შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი ადგილი. ანსამბლის შემოქმედებით მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა რეგიონის საუკეთესო მომღერლები, რომლებიც *дружина*-სთან ერთად საკონცერტო გამოსვლებშიც მონაწილეობენ. ესენი არიან: ოლგა კრასოვეიჩი – ლეგენდარული მომღერალი რუდნიკის მთიანეთიდან, სმილია კოტური იასენოვაჩიდან (სლავონია, ხორვატია), ბოკან სტანკოვიჩი აღმოსავლეთ სერბეთიდან, *იზ ვიკას* სახელით ცნობილი უძველესი ორხმიანი სიმღერის ოსტატები – მილოლიუბ შაკოვიჩი და მიროლიუბ რაკეტიჩი სამხრეთ-დასავლეთ სერბეთიდან.

ჯგუფის დიდი რეპერტუარი მოიცავს სიმღერებს სერბეთიდან, ყოფილი იუგოსლავიიდან, იმ რეგიონებიდან, სადაც სერბები ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ. მაგ. *პოტრესალიკა* დასავლეთ ბოსნიიდან, მრავალხმიანი სიმღერა სლავონიიდან და ბანიადან, *კანტალიკა* მდინარე დრინას აუზიდან, ორხმიანი სიმღერა ინტენსიური სეკუნდური ინტერვალებით ოზრენიდან (ცენტრალური ბოსნია), დასავლეთ და ცენტრალური სერბიიდან, ბალადები “ნა ბას” აღმოსავლეთ სერბიიდან, *კოლანიეს* (სიმღერა ფერხულით) სხვადასხვა ფორმა და ა.შ. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, დრაგანა ტომიჩი, უკრავს *კავალზე* (მეცხვარის სალამური) კოსოვოსა და მეტოჰიიდან, რეპერტუარში ასევე აქვთ სიმღერები სირინიჩკა ჟუპადან (მეტოჰია) ინსტრუმენტის თანხლებით.



სვეტლანა სპაიჩის ჯგუფი ბელგრადის რადიოში

ზოგიერთი უძველესი ვოკალური ფორმა, როგორცაა, მაგალითად, დალმატიური *ვროტკალიცა* და სამხრეთ-დასავლეთ სერბული *იზ ვიკა*, შეტანილია *იშ-ნიშკოს* მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში.

სვეტლანა სპაიჩის ჯგუფს კონცერტები აქვს ჩატარებული კონცერტგებაუში (პოლანდია), ვენის საკონცერტო დარბაზში; მონაწილეა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართული ტრადიციული მრავალხმიანობისა და ხალხური მუსიკის ფესტივალებისა. ჯგუფის საკონცერტო გამოსვლები და ალბომები ფართო განსჯის საგანი იყო როგორც სერბეთში, ისე – მის ფარგლებს გარეთ. კონცერტებს პირდაპირ ეთერში გადასცემდა სერბეთის ეროვნული ტელევიზია და რადიო. სვეტლანა სპაიჩის ჯგუფი მონაწილეობს ამერიკელი რეჟისორის რობერტ ვილსონის თეატრალურ წარმოდგენაში „მარინა აბრამოვიჩის ცხოვრება და სიკვდილი“.

ჯგუფისთვის მთავარია ტრადიციული სიმღერისადმი ერთგულება. სვეტლანა სპაიჩი თვლის, რომ სწორედ ასეთი დამოკიდებულების წყალობით, ნებისმიერი საექსპედიციო ჩანაწერი, ნოტები ან ანთოლოგია ცოცხლდება და გასაგები ხდება.

შერჩეული დისკოგრაფია:

- **ŽEGAR ŽIVI**, Žegar Živi, traditional singing and playing from the village of Žegar, Dalmatia, Cloudvalley London, 2008
- **POD OZRENOM SVIRALICA SVIRA**, (DVD) Serbian traditional singing, dancing and playing from the region of Ozren mountain, Bosnia, Culture Association “OZREN” (Karanovac, Petrovo), Doboj 2010
- **SVETLANA SPAJIĆ GROUP** - Grey Falcon (CD), Multimedia Records 2012.
- **SVETLANA SPAJIĆ AND BOKAN STANKOVIĆ** – Ancient ballads and airs from Eastern Serbia, live at Todo Mundo, Belgrade, World Music Association Records, Serbia, 2013
- **OLGA KRASOJEVIĆ AND SVETLANA SPAJIĆ GROUP** - The Falcon flies from Rudnik Mountain, traditional songs from the village of Crnuća, Wmas Records, 2014
- **SMILJA KOTUR** - Songs from Jasenovac, Wmas Records, 2014

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*

## მეთიუ ნაითი

გამარჯობა, მე ვარ მეთიუ ნაითი, ილინოისის უნივერსიტეტის დოქტორანტი ეთნომუსიკოლოგიაში. ქართული მუსიკით დაახლოებით ხუთი წლის წინ დავინტერესდი, საქართველოში წელიწადნახევარი ვიცხოვრე ჩემს ოჯახთან ერთად, მხოლოდ ახლახანს დავბრუნდით სახლში – ვინიპეგში (კანადა), მაგრამ, რა თქმა უნდა, ვგრძნობ რომ საქართველო ჩემშია (ბევრ ღვინოსთან და ჭაჭასთან ერთად) და იმედი მაქვს, რომ ამ ქვეყანას კიდევ ბევრჯერ ვესტუმრებით.



მეთიუ ნაითი შვილთან ერთად

მე გავიზარდე ოჯახში, სადაც უყვარდათ მუზიკირება და სიმღერა მოყვარულის დონეზე. მას მერე, რაც მოზარდმა აღმოვაჩინე საგუნდო მუსიკა, დავიწყე მუსიკის სწავლა და რამდენიმე წელი სკოლაში ვმუშაობდი. მოგვიანებით დაგიიწყე ეთნომუსიკოლოგიის შესწავლა და სერიოზულად დავინტერესდი ქართული

ხალხური მუსიკით. ქართული მრავალხმიანობა პირველად 12-13 წლის წინ მოვისმინე კარლ ლინიქის დისკიდან „ტრიო კაკასია“, ძალიან მომწონს რთული ჰარმონიების შესრულება პატარა ჯგუფში სადაც ერთი მომღერალი ერთ ხმას ასრულებს – გოსპელი, ჯაზი, ფოლკი, კლასიკა და ერთ დღეს ვიფიქრე, რომ საინტერესო იქნებოდა ქართული მუსიკის შესრულება. მოგვიანებით, როდესაც მომიწია ჩემი სადისერტაციო თემის განსაზღვრა, გადავწყვიტე, ამერჩია ვოკალური მუსიკა და გამახსენდა ქართული სიმღერის გასაცარი უღერადობა.



ისლამ ფილფანთან ერთად

საქართველოში პირველად 2012 წლის სექტემბერში ჩამოვედი, მონაწილეობა მივიღე მრავალხმიანობის სიმპოზიუმში და ავსტრალიელი მომღერლების ჯგუფთან ერთად ერთი კვირა გავატარე სვანეთში ისლამ ფილფანის ოჯახში. საქართველოში ორი წლის შემდეგ დავბრუნდი ჩემს მეუღლესთან იოკთან და ერთი წლის ქალიშვილთან როზასთან ერთად და კვლავ სვანეთს ვეწვიე. 2015 წლის თებერვალში თბილისში გადმოვედი, სადაც მრავალხმიანობის ცენტრში რუსუდან წურწუმიას, მაკა ხარძიანის, ნინო რაზმაძის, თეონა ლომსაძის, ნინო დამბაშიძისა და თიკო ტაბიძის დახმარებით ვისწავლობდი ფოლკლორსა და ქართულ ენას, ვეცნობოდი ქართულ კულტურას. შემდეგ რამდენიმე თვე გავატარეთ სვანეთში, უმეტესად ვცხოვრობდით სოფელ

ლენჯერში ისლამ ფილფანის ოჯახში, სადაც ბატონმა ისლამმა მასწავლა ჭუნირისა და ჩანგის დაკვრა და, ასევე, ბევრი სიმღერის სამივე ხმა. ძალიან საინტერესოდ გავატარე შარშანდელი ზამთარი სვანეთში, სადაც დავესწარი რამდენიმე სვანურ რიტუალსა და დღესასწაულს, მათ შორის, ლიფანააღსა და ლამპრობას, რამდენიმე სოფელში ვიმღერე ზარი ადგილობრივ მოხუც მომღერლებთან ერთად. ვიცი ბევრი ზემო სვანური სიმღერა და, იმედი მაქვს, მომავალში ვისწავლი ქვემო სვანურ მუსიკას, მეტ ფერხულს და, შესაძლოა, დავიწყო სვანური ენის სწავლაც!

მართალია, სიამოვნებით ვუსმენ და ვმღერი საქართველოს სხვადასხვა კუთხის (განსაკუთრებით მეგრულ, გურულ და აჭარულ) სიმღერებს, ჩემთვის მაინც გამორჩეულია სვანური სიმღერები. მომწონს მათი მდიდარი ჰარმონია, არატემპერირებული წყობა და არქაული სიტყვებით გამომწვეული შეგრძნება, განსაკუთრებით ისეთ ძველ საგალობლებში, როგორცაა „ლილე“, „ელია ღრდე“, „ჯგრაგიშ“, „კვირია“ და სხვა. გარდა ამისა, როგორც ეთნოგრაფს, მინდა დავწერო იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სვანეთში ტურისტული ბუმი მუზიციერებასა და ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზე. იქ ყოფნისას ბევრს ვსაუბრობდით ფულის გავლენაზე, რასაც ბევრი უარყოფითად აღიქვამს, მაგრამ ვაღიარებ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სჭირდება საარსებო ფულის შოვნა და რომ ზოგ შემთხვევაში ტურიზმი წარმოადგენს მატერიალურ სტიმულს ადათ-წესების შესანარჩუნებლად, რომლებიც სხვა შემთხვევაში უარყოფილი იქნება. როგორც მოძველებული.

თბილისის და სვანეთის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებსაც ვეწვიე და ვისწავლე სიმღერები. ბევრჯერ ვიყავი აჭარაში.

საქართველოში ბევრი მეგობარი შევიძინე, გავიგე, რომ გარდა არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობისა, ქართველები აღმერთებენ ბავშვებს. 3 წლის როზას

## ჭიანური

განსაკუთრებით უყვარს ისლამის შვილი-შვილები და დღემდე მათ იხსენებს. მეც მინდა მადლობა ვუთხრა მრავალ შესანიშნავ ადამიანს, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს და ჩვენი საქართველოში ყოფნა დაუვიწყარი გახადეს. ფილფანებისა და პროფ. წურწუმის გარდა, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ტმკსც-ის თანამშრომლებს ნინო რაზმაძესა და თეონა ლომსაძეს, ასევე, მათ ოჯახებს დიდსულოვნებისთვის, დახმარებისა და მეგობრობისთვის; თურმანიძეების ოჯახს (ჯემალი, მანანა, რეზო, ბესო და ხატია) სოფელ მერიხიდან, რომელიც სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითია და სადაც მსოფლიოში საუკეთესო საჭმელს ამზადებენ; ასევე, ჩვენს მეგობრებს – ჩამგელიანებს (მადონა, ანა, ეკა და მთელ ოჯახს), ნანა მუჟაგანაძეს, რომლებთან ერთადაც საათობით ვმღეროდით და ბევრი ლამაზი დღე გავატარეთ ლახუშდში.

ჩემი შემდეგი გეგმაა დავწერო დისერტაცია სვანურ მუსიკასა და მის ადგილზე თანამედროვე საქართველოში, დიდი იმედი მაქვს რომ აქ სადმე ვიპოვი მომღერლების ჯგუფს და მათთან ერთად გავაგრძელებ იმ სიმღერების შესრულებას, რომლებიც ასე ძალიან შემიყვარდა. უკვე გვენატრება საქართველო და მოუთმენლად ველით იქ დაბრუნებას.

ქართული ხემიანი საკრავი *ჭიანური* დღემდე შემორჩენილია სვანეთში (*ჭუნირი*), რაჭაში (*ჭიანური*/*ჭიანდური*) და თუშეთში (*ჭიანური*). XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ყოფილა გურიაში, ხევსურეთში, მესხეთში, აჭარაში, სამეგრელოში. მისი არსებობა მოწმდება თიანეთშიც – ხევსურეთიდან ჩამოსახლებულ ხალხში.

ეს საკრავი მარტივესი ფორმითაა შემონახული. მისი კორპუსი მრგვალია, ქვემოდან ღია, ზემოდან კი გადაკრული აქვს ტყავი ან საქონლის ფაში. სიმები ძუისაა. რაჭაში გვხვდება აგრეთვე მთლიანი ხისგან გამოთლილი ნავისებური ფორმის ჭიანურიც. მრგვალი კორპუსი აქვს ხევსურულ და თუშურ ჭიანურებს. გურიაში ფიქსირებულია გოგრის კორპუსის მქონე ჭიანური, ცნობილია ჯამისებრი ფორმის ჭიანურიც.

ჭიანურზე მჯდომარე უკრავენ, კორპუსი ეყრდნობა შემსრულებლის მუხლს, აუღერება ხდება ხემის საშუალებით. დაკვრის წინ ხემს უსვამენ ფისს, რომ სიმებზე კარგად ისრიალოს. ხემი ადვილად-დუნვადი ხისა (შინდი, თხილი ან არყი) და ცხენის ძუისაგან კეთდება.



რაჭული ჭიანური

ჭიანური ძირითადად სამსიმიანია, თუმცა რაჭაში ორსიმიანი ჭიანურიცაა შემორჩენილი. სამსიმიანი ჭიანურის წყობა სეკუნდურ-ტერციულია, ორსიმიანისა კი – ტერციული ან კვარტული.

ჭიანურის დასამზადებლად იყენებენ ხის წიწვოვან ჯიშებს – ნაძვს, სოჭს და ფიჭვს, იშვიათად – ფოთლოვანსაც, მაგალითად, არყს. ნავისებური რაჭული ჭიანური კი ცაცხვისაგან მზადდება. ფიცარს ათხელებენ ჰმმ სისქემდე, ჩადებენ ცხელ წყალში, ვიდრე ელასტიური გახდება, შემდეგ მოღუნავენ და შეკრავენ მავთულით ან მსხვილი ძაფით. ზემოდან გადააკრავენ თხელ ტყავს ან საქონლის ფაშვს და მიამაგრებენ კანაფით. შემდეგ უკეთებენ ბრტყელ ტარს, რომელსაც არყის ან მუხის ხისგან ამზადებენ. ტარი გაყრილია კორპუსში და გამოდის კორპუსის ბოლომდე.

ჭიანურისა და ჭუნირის სიმებად ცხენის ძუა გამოიყენება (გამონაკლისია გურული ჭიანური, რომელსაც აბრეშუმის სიმები ჰქონია). სიმები სხვადასხვა სისქის უნდა იყოს: I სიმი 9 ძუისაგან შედგებოდა, II – 10 ძუისგან, III კი – 12 ძუისგან. ორსიმიანი ჭიანურის ერთი სიმი 15 ძუისგან შედგება, მეორე კი – 20 ძუისგან. თუშური ჭიანურის I სიმი 4 ძუისგან შედგება, II – 5-6, III კი – 10-11. ძუის ფერს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, თუმცა უფრო ღამაზად თეთრი ითვლება. სიმები მიმაგრებულია მოქლონებზე.

ჭიანურზე ზოგ რეგიონში ქალებიც უკრავენ და მამაკაცებიც (სვანეთი, თუშეთი), ზოგან კი – მხოლოდ მამაკაცები (რაჭა). ის სააკომპანემენტო საკრავია და ძირითადად ერთხმიანი სიმღერების სათანხლებოდ გამოიყენება, თუმცა სვანეთში სამსიმიანი სიმღერებიც უხვად სრულდება ჭუნირის თანხლებით („მირანგულა“, „ვიცბილ-მაცბილ“, „დალა კოჯას ხელღვაჟაღე“, „ლაჟღვაშ“, „ირინოლა-მარინოლა“ და სხვა). დაფიქსირებულია ჭუნირზე შესრულებული რამდენიმე საცეკვაო ჰანგიც. აღსანიშნავია, რომ ჭუნირის ლეგენდარული შემსრულებელი, სვანი

ეთნოფორი ისლამ ფილფანი დღემდე ქმნის სამსიმიანი სიმღერების საჭუნრო ვარიანტებს, ინსტრუმენტულ კომპოზიციებს, რომლებშიც გუნდის სამ ხმას ჭუნირის სამი სიმი შეესაბამება!

სვანური ჭუნირი ზოგჯერ ანსამბლად ერთიანდება ჩანგთან სამსიმიანი სიმღერების შესრულებისას. სხვა სახის ანსამბლებში ის არ მონაწილეობს.

დაკვრის წინ ჭიანურს ათბობენ, რადგან შემსრულებელთა გადმოცემით, სიცივე და ნესტი ტყავზე უარყოფითად მოქმედებს და არასასიამოვნო ჟღერადობას აძლევს საკრავს. რაჭასა და სვანეთში ჭიანურის ჟღერადობის მიხედვით ამინდსაც პროგნოზირებდნენ.

რაჭაში ჭიანურის დაკვრა მიღებულ იყო ყოველგვარ ღხინში, ქორწილსა თუ დღეობაში. რაჭაში დასტურდება ჭიანურის ავადმყოფთან დაკვრის ჩვეულებაც, განსაკუთრებით, თუ ავადმყოფს „ბატონები“ სტუმრობდნენ. თუმცა, ხალხში არსებობს გამოთქმა „ჭიანური ჭირის არისო“, რაც სვანეთის მაგალითზე ნამდვილად გამართლებულია: ჭუნირი, როგორც წესი, გამოიყენებოდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში, კერძოდ: დასაფლავების წინა ღამისთევის დროს, „ლიფანაალის“ დღეებში, როცა ოჯახი მიცვალებულთა სულებს „მასპინძლობდა“;



სვანური ჭუნირი



ასევე ე.წ. „სულის დაჭერის“, ან „სულის გამოსხნის“ რიტუალში, როცა სახლის გარეთ დაღუპული ადამიანის სულის სახლში წამოყვანის პროცესს ახლდა თან... ეს წეს-ჩვეულებები უძველესი წარმომობისაა და მათში ჭიანურის მონაწილეობა ამ საკრავის სიძველესაც მოწმობს.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხემიანი საკრავის არსებობა საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებიდან ივარაუდება, წერილობითი წყაროებით – XVII საუკუნიდან დასტურდება, ეთნოგრაფიული მასალა კი საშუალებას გვაძლევს, მისი არსებობა იმ პერიოდთან ვივარაუდოთ, რომელსაც ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ასტრალური საფეხური შეესაბამება.

*მასალა დამუშავებულია  
მაკა ხარძიანის მიერ  
მ. შილაკაძის ნაშრომებიდან*

## *უცხოური მუსიკალური ფოლკლორი*

### **ნურისტანის ვოკალური მრავალხმიანობა**

ვოკალურ მრავალხმიანობას დიდი ისტორია აქვს ნურისტანში – ავღანეთის უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციაში. მის დაფიქსირებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის დანიელ მკვლევარს ლენარტ ედელბერგს, რომელმაც აქ ხმის ჩამწერი აპარატურით სავსე ექსპედიცია მოაწყო 1953-1954, 1964 და 1970 წლებში. 1968 წელს აუდიო მასალა ავსტრიელმა მეცნიერებმაც დააფიქსირეს. ამის შემდეგ 1980-იან წლებში რუსეთის ოკუპაციის, 1990-იან წლებში თალიბანის ბატონობისა და 2000-იან წლებში დასავლური კოალიციის ოკუპაციის გამო, ამ მთიან რეგიონში სავსე ექსპედიცია აღარ ჩატარებულა.

ედელბერგის მასალა მოიცავს 220 ჩანაწერს ვაიგალის, პარუნისა და ბაშგალის ხეობებიდან. ვოკალური მრავალხმიანობის ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერია ვაიგალის ხეობაში. უახლეს მასალას წარმოადგენს ვაიგალის საძოვარზე მომღერალი და მოცეკვავე მამაკაცების დიდი ჯგუფის ვიდეო ჩანაწერი (2009წ), რომელიც ადასტურებს, რომ მუსლიმანური შეზღუდვებისა და აკრძალვების მიუხედავად ეს ტრადიცია ჯერ კიდევ არსებობს.

1895-1896წწ. იძულებით გამუსლიმანებამდე მთელს ნურისტანში გაბატონებული იყო ძლიერი პოლითეისტური რელიგია, რომელიც არსებობის 2000 წელს ითვლიდა. პროვინციას მაშინ კაფირისტანი ერქვა, რაც აღნიშნავდა მოღალატე კაფირებს. სახელი ნურისტანი, რაც *ხინათლის მიწას* ნიშნავს, დაერქვა ავღანეთის მაშინდელი ემირის აბდურ რამანის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გამუსლიმანება მძიმე პროცესი იყო, რასაც თან ახლდა ძირძველი ხალხის განადგურება, აშკუნისა და პარუნის ხეობების მოსახლეობის დეპორტაცია, ვაიგალის ხეობის მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად დაემორჩილა

ისლამს და ამდენად, ახალი მმართველობა შედარებით ტოლერანტული გახდა მუსიკისა და ცეკვის ტრადიციების მიმართ. ვაიგალებს უფლება მიეცათ, შეენარჩუნებინათ ტრადიციები, თუ უარს იტყოდნენ ტექსტებზე კაფირების შესახებ. ედელბერგის ექსპედიციების დროსაც კი ეს ტრადიცია ჯერ კიდევ არსებობდა.

1964 წელს სკოლაში გაკეთებული ჩანაწერები ადასტურებს, რომ ტრადიციულ სიმღერას ბავშვებსაც ასწავლიდნენ.

470-08 Kamale kimile  
Mondesh 1953  
ca. 65 poetry by Sum'ra (s. 1952)  
transposed up a small second  
leadvocal, supportvocal, choir and drum

lead vocal  
mi-aló! ká - ma - li ka - me - lé im

support vocal  
á!-aló! ká - ma - li ka - me - lé im

choir  
á!-aló!

drum  
dáb

2  
tato tsehé - lé melá wáku! sá-ne - ra meli ó!-su di páre sema gá du - nu! é!-ra!-ma  
wá da ju mó ma wá da ju mó ma

ედელბერგის ჩანაწერების თითქმის ნახევარი ვოკალურ მრავალხმიანობას წარმოადგენს. დანარჩენი 63 ნიმუში მუსიკალურად თითქმის იგივე სიმღერებია, მხოლოდ ტექსტებია განსხვავებული.

სტანდარტულ ნურისტანულ სიმღერაში არის ვოკალი, მელოლე და გუნდი. ზოგჯერ სიმღერას აკომპანემენტს უწევს არფა (*wadzh*) და ვიოლინო (*saringi*). გუნდი რიტმულად მიჰყვება მეორე სოლისტს. სიმღერას ყოველთვის პირველი სოლისტი იწყებს, რომელიც თავის პარტიას მეორე სოლისტს გადასცემს, რომელსაც ეს უკანასკნელი მელოდიურად იმეორებს. შემდეგ პირველი სოლისტი იწყებს კონტრაპუნქტულ ხაზს მეორე სოლისტის საწყისი ბგერიდან სეკუნდით დაბლა; შემოდის გუნდი დოლთან ერთად. სიმღერების უმეტესობაში მეტრი არის 9/8, კომბინაციაში 3-ჯერ 3 დარტყმა. პირველი სოლისტი ასრულებს უწყვეტ ტექსტს, ხო-

ლო მეორე სოლისტი პასუხობს პირველ სოლისტს მისამღერის მსგავსი ტექსტით.



სიმღერის პროცესში

ორ სოლისტს შორის ჰარმონიულ ურთიერთობას ახასიათებს მთელი რიგი სეკუნდური თანხვედრები, ხშირად გუნდიც პარალურ სეკუნდებში მღერის; თანხმლები საკრავებიც, შესაძლოა, სეკუნდურ უღერადობას გამოსცემდეს. არფა დიატონურად არის აწყობილი, ხოლო სიმებიანი საკრავები თანაბარდაშორებული სეკუნდური ინტერვალებით. არფის დამკვრელი მარცხენა ხელის თითებით სიმებს ხურავს, ხოლო მარჯვენა ხელის თითებით სინქრონულად უკრავს. სიმების დახურვა იწყებს ოთხი სიმის კლასტერულ უღერადობას. ვიოლინო ზოგჯერ შესაბამის ჰარმონიულ ბგერას გამოსცემს, ორი სიმის უწყვეტი უღერადობით. ყოველივე ეს თანხმობაშია ყველა სოლისტთან და გუნდთან. ჰარმონიულ უღერადობას სულაც არ ახასიათებს არც ბუნებრივი ობერტონები, არც სამხმოვანებები. ასეთი კლასტერ-დომინირებული კონცეფცია მსოფლიოში იშვიათია, თუმცა, მსგავსი მოვლენა გვხვდება ლიტვურ *სუტარტინესში*. ვინაიდან ნურისტანის სასიმღერო ტრადიცია რამდენიმე ათას წელს ითვლის, ის ეწინააღმდეგება დასავლეთში გაბატონებულ კონცეფციას მუსიკის ჰარმონიული განვითარების შესახებ, როგორც იოსებ ჟორდანიას მიუთითებს თავის წიგნში „ვინ დასვა პირველი შეკითხვა?“

კრისტერ ირგენს-მოლერი

## ამინდის მართვასთან დაკავშირებული ტრადიციები და მუსიკა საქართველოში

ამინდის შეცვლის რიტუალები მთელ საქართველოშია გავრცელებული, თუმცა მათი თანმხლები სიმღერები ყველა კუთხეში არ შემოგვრჩა. ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშები ქართლში, კახეთში, აჭარაში, იმერეთში, ლეჩხუმში, მესხეთსა და ჰერეთშია ჩაწერილი. ეს სიმღერებია: „ლაზარე“, „გონჯა“, „ელია“, „დიდება და მადლი ღმერთსა“, „გუთანზე დატირება“, „აჭერ-მაჭერ“ და სხვა. დასახელებული სიმღერები ლაზარობის, გონჯაობის, დიდებაზე სიარულის რიტუალებს, „წყლის მოხვნის“ წესსა და ქალქეების გადაბრუნების მაგიურ ქმედებას უკავშირდება. ისინი არ არის „სიმღერები“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს არის ვედრება, ხვეწნა, შელოცვა, თხოვნა, რომელიც ღვთისადმი, მისი ძალისადმი მიმართული. მათი ძირითადი ფუნქცია თავის შეცოდება, შებრალება, შენანება და ამ საშუალებით ნამის ან დარის თხოვნაა.

ქართლში სასურველი ამინდის გამოსაწვევად ლაზარობა, დიდება და „წყლის მოხვნა“ იცოდნენ. ხშირად ლაზარობა და დიდებაზე დავლა ერთი და იმავე რიტუალის ორ სახელწოდებად იხსენიება: ლაზარობაზე სიარულს „დიდებაზე წასვლაც“ ჰქვია, რიტუალის მონაწილეებს – „დიდებაზე მოსიარულენი“.

ლაზარობა ცა-ღრუბლის წარმართული ღვთაების, ელიას თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთია. გვალვიან ზაფხულში ციური ძალებისგან წვიმა და კარგი მოსავალი რომ გამოეთხოვათ, ქალები ხისგან ან თიხისგან ამზადებდნენ თოჯინას, რომელსაც „ლაზარეს“ მღერით დაატარებდნენ კარდაკარ (ხანდახან ლაზარეს მაგივრობას ერთ-ერთი მონაწილე სწევდა). რომელ სახლთანაც მივიდოდნენ, იმისი პატრონი გამოვიდოდა და მისცემდა ფქვილს, კვერცხს, სანთელს, ფულს – ვი-

საც რა შეეძლო, თან ლაზარესა და ზოგჯერ ქალებსაც გაწუწავდა. რასაც მოაგროვებდნენ, ჰყიდდნენ და იმ ფულით ბატკანსა და ციკანს ყიდულობდნენ. ბატკანს ღმერთს შესწირავდნენ, ციკანს – ელიას, სანთელს კი ეკლესიაში დაანთებდნენ. როცა, პირიქით, ზედმეტი წვიმიანობა მოსავალს წახდენას უქადდა, ღვთაებას ღრუბლის აყრას ევედრებოდნენ და „ლაზარეს“ სხვა ტექსტზე მღეროდნენ. ზოგჯერ ამ ქმედებასთან ერთად ასრულებდნენ ე.წ. „წყლის მოხვნის“ წესს: ღიახვის ხეობაში გვალვისას ქალები გუთანს შეებმებოდნენ, წყალში გაიტანდნენ, თან „ლაზარეს“ მღეროდნენ და წუწობდნენ, შემდეგ კი „ლაზარეს სუფრაზე“ ნადიმობდნენ.

წყლის მოხვნა და ერთმანეთის გაწუწვა უკავშირდება სიმპათიკურ მაგიას, რომლის მიზანია, გარკვეული ქმედებით გამოიწვიოს მსგავსი, სასურველი მოვლენა (ამ შემთხვევაში, წვიმა).

„ლაზარეს“ სიტყვიერ ტექსტში ერთმანეთს ენაცვლება თხრობა ლაზარეს მოსვლის შესახებ და შეთხოვნა ღვთაებისადმი. ტექსტი იცვლება იმის მიხედვითაც, თუ რას ევედრებიან ღვთაებას – წვიმას თუ მზეს.

ბოლო ხანებში ქართლში „ლაზარეზე“ ახალგაზრდები დადიან, მაგრამ აღარ მღერიან.

ამინდის სავედრებელ რიტუალს, რომელიც ქართლში „ლაზარობის“ სახელითაა ცნობილი, კახეთში „გონჯაობა“ ან „გონჯა-გონჯა“ ჰქვია. გონჯაობის დროს სატარებელ თოჯინას და წეს-ჩვეულების თანმხლებ სიმღერას, შესაბამისად, „გონჯას“ ეძახიან („გონჯი“ ქართულ ენაში „მახინჯის“ სინონიმია). დარ-ავდრისათვის განკუთვნილი რიტუალები დღეს ყოფაში იშვიათად გვხვდება. ამ მხრივ გამოჩინის წარმოადგენს სწორედ კახეთის რაიონები, განსაკუთრებით კი, ყვარელი. მრავალი გვიანდელი ცვლილების მიუხედავად, ყვარლის რაიონში ჩაწერილმა „გონჯებმა“, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, უკეთ შემონახა ამ

სავედრებელი სიმღერის ადრეული იერსახე.

რაჭაში არსებობს ცნობები ამინდის მართვის სიმღერის არსებობის შესახებ, თუმცა მისი მუსიკალური მხარე უცნობია. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, რაჭაში შემორჩენილია ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები და მასთან დაკავშირებული რიტუალები: ხანგრძლივი ავდრის დროს მართავენ „კოხინჯრობას“: გლეხი ევედრება ღრუბლის ბატონს ელიას, დაიფაროს მისი ყანები კოხისა და სეტყვისგან. ამ მრისხანე ღვთაების გულის მოსაგებად გლეხი მსხვერპლად კლავს ციკანს, რომლის თავსა და ტყავს მაღალ მწვერვალზე ჰკიდებს.

ამინდის მართვის რიტუალებიდან სამეგრელოში გავრცელებული ყოფილა ჩვეულება „ძიძავა“: გვალვის დროს სოფლის გოგოები გააკეთებდნენ თოჯინადედოფალას („მოჭყუდუა“, „კენჭაია“, „ძიძიკაკაკა“) და ქალურად მორთავდნენ, სოფელს შემოატარებდნენ და მერე წყალში დაახრჩობდნენ. ზოგჯერ საკლავსაც კლავდნენ და ცა-ღრუბლის უფროსს ნამის მოცემას სთხოვდნენ. სამწუხაროდ, შესაბამისი მუსიკალური მოტივი შენარჩუნებული არაა.

აჭარაში „ლაზარობის“ რიტუალი სრულდებოდა სიმღერით „ლაზარე“; ეს სიმღერა ქალთა რეპერტუარის კუთვნილებაა, ვინაიდან ამინდის შეცვლის რიტუალში, როგორც წესი, ქალები მონაწილეობდნენ. თუმცა, აჭარაში იგი ბავშვთა რიტუალურ თამაშობად გადაიქცა, რომელსაც გოგო-ბიჭები ხშირი წვიმების ან გვალვის დროს მართავდნენ: შეიკრიბებოდნენ და სიმღერითა და ლოცვით მოივლიდნენ სოფელს. ის გარემოება, რომ ლაზარობის რიტუალი აჭარაში ქალთა რეპერტუარიდან საბავშვო თამაშობად გადაიქცა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ კუთხის მოსახლეობის სარწმუნოებრივ ცვლილებებს, რამაც განსაკუთრებით ქალთა ყოფა შეცვალა. ასეთ პირობებში, რიტუალი, რომელსაც ქალები ვეღარ შეასრულებდნენ, უფროსების დავალებით, ბავშვებს შეეძლოთ შეესრულე-

ბინათ. როგორც ჩანს, ამ ფაქტს ხელი იმანაც შეუწყო, რომ რიტუალის მდიდარი სანახაობრივი მხარე „სათამაშო“ ელემენტებსაც შეიცავდა (თოჯინის დამზადება, კარდაკარ ჩამოვლა, წუწობა და სხვა), რომლებსაც შეიძლება გასართობი ხასიათი მიცემოდა. ბავშვთა რეპერტუარში გადასვლამ დადი დაასვა რიტუალის მუსიკალურ მხარესაც: სავედრებელი სიმღერები ბავშვთა სასიმღერო ტრადიციის შესაბამისად გამარტივდა. ისინი, ძირითადად, მარტივ, ორ-სამ ბგერიან მოტივებზეა აგებული. ესაა ამინდის გამოსათხოვი „ლაზარე“, „ლაზარია“, „ლაზარიკო“, „ნაზარე“. ამ მხრივ ასევე საინტერესოა სიმღერა „აჰ ემინე, ემინე“, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებს ერთ-ერთ ქართლურ „ლაზარეს“.

ღვინხუმში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამინდის მართვასთან დაკავშირებულ რიტუალს, რომელსაც „ხატარეშობას“ უწოდებენ. ერთი ღვინხუმელი ეთნოფორის ცნობით, გვალვის დროს სოფლის ქალები შეიყრიდნენ თავს სოფლის სალოცავში, წამოიღებდნენ ღვთისმშობლის ხატს, შემდეგ ამ ხატს მდინარეში დაბანდნენ, თან ღვთისმშობლის საგალობელს ამბობდნენ. ამ რიტუალს რომ მორჩებოდნენ, ხატს უკანვე წაიღებდნენ და სალოცავში დაასვენებდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ხატის დასვენებით, ღმერთი ცრემლებს გადმოყრიდა წვიმის სახით. სხვა ცნობების მიხედვით, ხატის გაბანვისას ხანდაზმული ქალები, ფეხშიშველები, სამოწყალოდ ჩაცმულები (ბუნებას რომ მეტად შესცოდებოდა), მოღუშულები, მწუხარეები, ცრემლითა და ტირილით სთხოვდნენ, ეხვეწებოდნენ ღმერთს მოსავლის გადარჩენას. ეთნოფორთა განმარტებით, მოღუშულები იმიტომ იყვნენ, რომ ბუნებაც მათსავით მოღრუბლულიყო და გაწვიმებულიყო.

მესხეთში ამინდის მართვასთან დაკავშირებული ლეგენდებისა და თქმულებების გარდა, ბოლო დრომდე თავად რიტუალიც ფიქსირდებოდა, რომელსაც „დიდებაზე დავლას“ უწოდებდნენ. ამ რიტუალის დროს სიმღერა „ლაზარე“ სრულდებ-

ბოდა.

ჰერეთში ამინდის მართვის სარიტუალო სიმღერებიდან მხოლოდ გამოსაღარებელი ნიმუშები შემორჩა. ასეთებია: „აჭერ-მაჭერ“ „კოტი-კოტი“. კოტიობაზე (ეს დღესასწაული ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება) შესასრულებელ ნიმუშს უმეტესად აზერბაიჯანულად მღერიან, თუმცა, სავარაუდოდ, ეს ტექსტი ქართულიდან თარგმნილი უნდა იყოს.

ამინდის შეცვლის რიტუალებში შემავალი სავედრებლები განვითარების სხვადასხვა დონით ხასიათდება. მათ შორის გვხვდება როგორც მარტივი, ისე, შედარებით განვითარებული და უფრო რთული სასიმღერო ნიმუშები: ერთხმიანი

ორხმიანი და სამხმიანი ვარიანტები. შემოგვრჩა სიმღერები უნისონური შესრულებითაც, როგორც ცალპირული, ისე ორპირული ნიმუშები.

ამინდის მართვის რიტუალებმა თანამედროვე პირობებში აქტუალობა დაკარგა, მათთან დაკავშირებული სიმღერები კი მხოლოდ საარქივო ჩანაწერებისა და სცენაზე შესრულებული ნიმუშების სახით შემოგვრჩა.

*მასალა დამუშავებულია  
მაკა ხარძიანის მიერ  
ნ. ზუმბაძის, ო. კაპანაძის,  
გ. კრავეიშვილისა  
და რ. ჩიტაურის ნაშრომებიდან*

# გონჯა

I გუნდი

გონჯა - ვო - ზაა      მო - ი - ა - რე,      გონჯა მი - დ - გა      კა - რსა,

II გუნდი

კა - რსა,

I გუნდი

კა - რსა, და

II გუნდი

გონჯა - ვო - ზა      მო - ი - ა - რე,      გონჯა მი - დ - გა      კა - რსა,

I გუნდი

გა, მო - დ - გა      თა - რო - სა,      დე - ე - მსგა - ვსა      მთვა - რე - სა,

II გუნდი

მთვა - რე - სა,

I გუნდი

II გუნდი

მი - დგა, მო - დგა თა - რო - სა, დე - ე - მსგა - ვსა მოგა - რე - სა,

საი,

ა ა

დასასრული

I გუნდი

II გუნდი

ნჯა - ვო - ბა მო - ი - ა - რე, გო - ნჯა მი - დ - გა კა - რსა,

გო - ნჯა - ვო - ბა მო - ი - ა - რე, გო - ნ - ჯა მი - დ - გა კა - რსა,

კა - რსა,

ა ა

II გუნდი

გო - ნჯა - ვო - ბა მო - ი - ა - რე, გო - ნჯა - მი - დგა კა - რსა,

ა ა

აბარბარე, ბარბარე,  
 ცას ღრუბელი აყარე,  
 ცხავი აცხავებულა,  
 დარიც დაჩქარებულა.

რედაქტორი:  
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:  
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
მაკა ხარძიანი  
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2016

eISSN 1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი,  
0108, გრიბოედოვის ქ. №8/10

ტელ: (+995 32) 2998953 ფაქსი: (+995 32) 2987187

E mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2017 წლის ივნისში